

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenashvili

პროექტის კოორდინატორი
რუსულან აფცაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsauri

ტექსტი
გიორგი ჩოჩიშვილი

TEXT
Giorgi Chochishvili

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქტორი
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზალ მიჯაფარძე, ინგა ალავიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
ჯემალ კასრაძე, ბადრი კეთილაძე, ავთანდილ გურასაშვილი,
ალექსანდრე კოტორაშვილი, www.sportphoto.ge

PHOTO
**Jemal Kasradze, Badri Ketiladze, Avtandil Gurasashvili,
Aleksandre Kotorashvili, www.sportphoto.ge**

პარტნიორი
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ტყველის სროლის ფედერაცია

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Shooting Federation**

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

ნინო სალუქვაძე

2011

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION



კარგა ხნის წინ, გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში მუშაობისას, ნინო სალუქ-ვაძესთან ინტერვიუს მომზადება დამევალა. 16 წლის ნინო მამამისთან ერთად გვესტუმრა რედაქციაში. მაშინ არც ისე გამოცდილი ჟურნალისტი ვიყავი, თავად ნინო კი, თურმე, პირველად იძლეოდა ინტერვიუს. ახლაც კარგად მახსოვს მაშინდელი ჩვენი წვალება: ჩემს „ხუთსართულიან“ კითხვას ნინო ორი-სამი სიტყვით პასუხობდა. ასეთი მორცხვი მოზარდი ჯერ არ მენახა. ნინოს მამა და მწვრთნელი ვახტანგ სალუქვაძე, ჭეშმარიტად გურული კაცი, მოუსვენრად დაგვტრიალებდა თავს. სახეანითლებული ნინოს დუმილს ბატონი ვახტანგის მყისიერი კომენტარები მოსდევდა. რედაქციის თანამშრომლებიც მხარძი ამომიდგენ, ჩემი რესპონდენტი შეაგულიანეს და საბოლოოდ, შორისდებულებისა და თანხმობის „ნიშნების“ რაღაც ერთობლიობა შევაკონინე. ეს ვითომ ინტერვიუ მეორე დღეს გაზითში დაიბეჭდა...

მას შემდეგ მეოთხედი საუკუნე გავიდა. დღეს ნინო გამოპრძმედილი, გამოცდილებით და ტიტულებით დახუნძლული სპორტსმენია, თუმცა ახალგაზრდული იერი და სპორტული აზარტი აქამდე შემორჩა. ახლა მის ბინაში ვსხედვართ და გარდასულ ბრძოლებს, ცალკეულ საინტერესო ეპიზოდებს ვიხსენებთ, თან ვცდილობთ სხვადასხვა შეჯაბრებებში მოპოვებული მედლებისა თუ პრიზების სრული ნუსხა შევადგინთ. დამერწმუნეთ, ამის გაკეთება საკმაოდ რთული საქმეა. მაგალითად, მსოფლიო თასის ტურნირები იმდენჯერ მოიგო (ოცზე მეტი!), რომ დიდი ხანია სათვალავი აერია. სხვა „წვრილმან“ პირველობებზე ლაპარაკიც არ ლირს, თუმცა ნინოს სპორტული ბიოგრაფია უამისოდ მაინც ნაკლული დარჩება.

მთავარი მონაგარი, რასაკვირველია, უფრო იოლად ჩამოითვლება: სეულის ოლიმპიადის ოქროსა და ვერცხლის მედალი, ბევრინის ოლიმპიური ბრინჯაო, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონობა პირად და გუნდურ პირველობაში და ცხრა მსოფლიო სუპერ თასი, მსოფლიოს საუკეთესო მსროლელი ქალის ტიტული 1989 წელს... ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებულ მედლებს ხომ თვლა არ აქვს. აქვთ სათქმელია, რომ სროლაში მსოფლიო ჩემპიონატები, ოლიმპიური თამაშების მსგავსად, ოთხ წლინადში ერთხელ იმართება.

ნინო სალუქვაძე საქართველოს სპორტსმენებიდან ერთადერთია, ვინც ექვს ლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა — სეულიდან ბევრინამდე და მედლების სრული კომპლექტი (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო) დაუგროვდა. მოკლედ, რე-





კორდების წიგნის საკადრისი მიღწევები აქვს, მით უფრო, რომ პირველი ოლიმპური მედლის მოპოვებიდან 20 წლის შემდეგაც შეძლო ასულიყო სპორტში ყველაზე საპატიო კვარცხლბეჭზე.

ნინოს გამარჯვების ფორმულა: ორბის თვალი და ფოლადის გამძლეობა, ოლონდ, არავითარ შემთხვევაში — რეინის გული. რეინა და ფოლადი, კარგია, მაგრამ გრძნობა და ემოცია — უფრო საჭირო. ჩვენ რომ ტყვიის სროლა „ცივგულიანთა“ სპორტი გვეგონა, საქმე, თურმე, სხვაგვარად ყოფილა. ნინო სალუქაძე ამბობს: „იმ უკიდურესი დაბაბულობისა და პასუხისმგებლობის მომენტშიც კი, როცა გამარჯვების ბედი ერთადერთ ანუ ბოლო გასროლაზე ჰქიდია, როცა თვალი და გონება ერთ ნერტილს მისჩერებია და იმ მომენტში იმ ნერტილის გარდა ქვეყანაზე სხვა არაფერი არ არსებობს, გონება გულს ეთათბირება და გადანყვეტილებას ამის შემდეგ ღებულობს — „ისროლე!“

მთავარია გულიდან ნამოსული იმპულსი. ამაში ნინო ღრმად არის დარწმუნებული, რნენა კი ძალიან საჭირო რამ გახლავთ. ამ რნენამ 20 წლის ნინ, სეულში ნინო სალუქაძე თლიმპიურ მწვერვალზე აიყვანა, 20 წლის შემდეგ კი, პეტრიში თლიმპიური ბრინჯაოს მედალი მოაგებინა. 20 წელი მთელი ეპოქა სპორტში — ძველი თაობა ასპარეზიდან მიღის და მის ადგილს სხვა იკავებს, მაგრამ ეს წესი ნინოს ნაკლებად ეხება. ამიტომაც, მისი სპორტული გზის შესაფასებლად, სტანდარტი და შაბლონი არ გამოდება. ნინო თავად ამკვიდრებს ახალ სტანდარტებს და ახალგაზრდებს სპორტული გმირობის მაგალითს აძლევს. ის, რაც პეტრიში 10 აგვისტოს მოხდა, ამგვარ მაგალითთა რიცხვში შედის. სიმპოლურია: სამაჩაბლოში სროლები რომ იყო, სწორედ იმ დღეს ნინო პეტრიში ათიანში ისროდა. 10 აგვისტო, 10 მეტრზე პნევმატური პისტოლეტით სროლის ფინალი, 10 გასროლა და ამდენი ათიანი. ნახეთ ფინალის შედეგები: 9,8—10,3—10,0—9,5—10,2—10,7—10,4—10,6—9,1—10,8. საკვალიფიკაციო სროლების შემდეგ ნინოს 386 ქულა და მეოთხე შედეგი პეტრიში, ფინალში კი ერთი საფეხურით მაღლა აინაცვლა და საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე ჩინელი ვენძინ გუო გავიდა, მეორეზე — რუსი ნატალია პადერინა. ოლიმპიადის მეორე დღეს, როცა საქართველოში რუსეთის არმია შემოიჭრა, ქართველი და რუსი სპორტსმენი კვარცხლბეჭზე ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ და ეს ამბავი უმაღ იქცა მედიის ყურადღების საგნად. უცხოელი ჟურნალისტები უწინარესად ქართველი სპორტსმენის კომენტარით დაინტერესდნენ:

„რაც საქართველოში ხდება, რა თქმა უნდა, საშინელებაა. სამშობლოდან შორს მყოფი ქართული დელეგაციის თითოეული წევრი შოკირებულია. მაგრამ ჩვენ ამავე დროს შეჯიბრებაში მონანილეიბა გვიწევს და ვალს იმით ვიტდით, რომ გასამარჯვებლად გაათმაგებული მონდომებით ვიბრძვით. რაც შეეხება ჩემს ურთიერთობას ნატალია პადერინასთან, ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს სხვადასხვა შეჯიბრებებზე და თბილი ურთიერთობა გვაქვს. პოლიტიკოსების შეცდომები ამ ურთიერთობას ვერ შეცვლის.“

სხვათა შორის, მოგვიანებით ამ ამბავს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი უაკ როგორც გამოხმაურა: „ჩემთვის რომ ეთხოვათ პეკინის ოლიმპიადის ყველაზე დასამასხსოვრებელ ეპიზოდებზე საუბარი, მე უპირველესად ამ ისტორიას გავიხსენებდი. სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან ორი დღის შემდეგ, რუსმა და ქართველმა სპორტსმენმა, ოლიმპიადის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებმა, ოლიმპიურ კვარცხლბეჭვზე ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და გადაეხვივნენ. ჩემი აზრით, აი ეს არის სპორტული სულისა და ერთიანობის საუკეთესო გამოვლინება.“

...ნინო სალუქვაძე ქართველთაგან პირველი იყო, ვინც პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოიპოვა.

ნინო სალუქვაძის ბრინჯაო პირველი ქართული მედალი იყო პეკინში.

ნინო სალუქვაძე პირველი ქართველი ქალია, ვინც სამი ოლიმპიური მედლის მოპოვება შეძლო.

ნინო სალუქვაძე პირველი და ერთადერთი ქართველი სპორტსმენია, ვისაც ოლიმპიადებზე სამივე სინჯის მედალი აქვს მოპოვებული.

* * *

დროსა და გარემოებას ხშირად უმადურობის ნიშანი ატყვია. სროლა სპორტის კლასიკური სახეობაა, მსოფლელთა შეჯიბრებები კი ლამის დენთის გამოგონებიდან იმართება. ცუდი ის არის, რომ ტყვიის სროლა, როგორც სპორტი, პოპულარობით არ სარგებლობს ნინოს სამშობლოში — საქართველოში. როგორც ჩანს, ქართველის ხასიათში არ თავსდება ტყვიის მსროლელის ნელი, თითქმის ავტომატიზმდე დასული მექანიკური მოძრაობა საცეცხლე ხაზთან... მაგრამ, ნინოს თქმით, მხოლოდ მაყურებლის პოზიციიდან შეიძლება ჩანდეს სროლა



ერთფეროვანი: „როცა შეჯიბრებაზე ვარ, დროის შეგრძნებას ვკარგავ, ერთიანად შევდივარ გარეშე თვალისთვის შეუცნობელ სპორტულ აზარტში“.

მოდით, ახლა განვიხილოთ საქმის წმინდა ტექნიკურ მხარე.

ყველა პისტოლეტი, პნევმატურიც და მცირეკალიბრიანიც, დაახლოებით 1,2 კგ-ს იწონის. პნევმატურის კალიბრია 4,50, ტყვიის სროლისთვის განკუთვნილის — 5,60. ყველა პნევმატურ იარაღს, პისტოლეტსა თუ შაშხანას, 10 მეტრი მანძილიდან ისვრიან, ტყვიას კი, მხოლოდ ქალებზეა საუბარი — 25 მეტრიდან. კაცებში არის 50-მეტრიანი დისტანცია.

მცირეკალიბრიანი სპორტული პისტოლეტით სროლა, რომელსაც საბჭოთა პერიოდში მპ-5 ერქვა, 60 გასროლამდეა, შემდეგ კი რვა საუკეთესო ფინალში გადის და კიდევ 10-10-ჯერ ესვრის სამიზნეს. პნევმატური პისტოლეტით შეჯიბრებაში (პპ-2) სულ 40-40-ჯერ ისვრიან, პლუს ფინალის ათ-ათი გასროლა. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით წინასწარი სროლა ორი წანილისგან შედგება: 30 გასროლა მრგვალ სამიზნეზე და ამდენივე სწრაფსროლა. ფინალი ტარდება მრგვალ სამიზნეზე. ყოველი 5 გასროლისთვის (ერთი სერია) სპორტსმენს 5 წუთი ეძლევა, სწრაფსროლაში კი თითოეული ცდის დროს 3 წამში უნდა ჩაეტიო. თუ დროში ჩაეტიო, მწვანე შუქი ინთება, თუ გადააცილე — წითელი. თუ სროლა ვერ მოასწარი და წითელი აინთო, კარგად იყავი — იმ ცდაში ნულს დაგინერენ და შეგიძლია ბარგი ჩაალაგო.

ფინალში, როგორც უკვე ითქვა, 8-8 მსროლელი გადის. წინოს ვინ არ ჰყოლია კონკურენტად ამ 25 წლის განმავლობაში — უეცრად ამობრწყინებული და მალე ჩამწრალი ახალგაზრდა ტალანტები თუ გამოცდილი და დაბრძენებული ჩუბინები. სროლაში სტაბილურობა განსაკუთრებით ძნელი მისაღწევია — 60-დან ერთი გასროლაც კი წყვეტის შეჯიბრების ბედას. აქ, სხვა სახეობებისგან განსხვავებით, აღიარებული ფავორიტები ხშირად მარცხდებიან, ან უკვე „ჩამოწერილი“ ჩემპიონი ჯობნის სუყველას. მოკლედ, ფორტუნას მერყევი „ხასიათი“ სწორედ სროლაში მუდავნდება, ამიტომაც, ნაკრებ გუნდებში მსროლელებს უწინარესად მათი სტაბილურობის მიხედვით არჩევენ. წინო სალუქვაძე სტაბილური მსროლელია და ასეთები ცოტანი არიან. ერთ-ერთი მათგანია ხორვატიაში დაბადებული სერბი იასნა სეკარიჩი. 25 წელიწადია გრძელდება სალუქვაძისა და სეკარიჩის დაპირისპირება სპორტში და მეგობრობა სასროლეთს მიღმა: „იასნა ჩემზე ოთხი წლით არის უფროსი, შესანიშნავი ადამიანია. რაღაცნაირად



„რაზე აღარ დაგუავდი
მშობლებს — კალათბურ-
თზე, მუსიკაზე, ცეკვაზე...
მაშინ, ასაკის პირობაზე,
საქმიანოდ მაღალი გოგო
ვიყავი. ფორტეპიანო ძა-
ლიან მეჯავრებოდა, მუ-
სიკალური მონაცემები არ
მქონდა და მაინც ხუთიან-
ზე გაბარებდი ვამოცდებს.
უნოტოდ, მექანიკურად ვი-
მახსოვრებდი ყველაფერს.
სამუსიკო სასწავლებელში
მისაღები ვამოცდები წინ
კედლის საათის ისრები
ვადავწიე, რომ დამეგვი-
ანებინა, დაკვრისას კი
შეგნებულად ავურიე, მაგ-
რამ... მაინც მიმიღეს.“



ერთმანეთს ვგავართ ხასიათით, ამასთან, როგორც მე, მასაც ქალ-ვაჟი ჰყავს. ოჯახებით ვმეგობრობთ...“

სეკარიჩს სეულის ოლიმპიადის ოქროსა და ბრინჯაოს მედლები აქვს პლუს ათენის ვერცხლი - ოლიმპიური მედლების მთელი კომპლექტი, ისევე როგორც ნინოს. მათი მეტოქეობა 1985 წელს დაიწყო იასნას მშობლიურ ქალაქ ოსიეკში - სროლის ცნობილ ცენტრში. 16 წლის ნინო მაშინ 2-3 წლით უფროს მეტოქეებს ებრძოდა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატზე. საბჭოთა სპეციალისტებს შორის ნინოს ნიჭიერება ეჭვს არ იწვევდა და ამიტომ აღმოჩნდა 16 წლის გოგონა შედარებით უფროსთა გარემოცვაში. მაშინ იგი დიდებსაც, ანუ საკავშირო ნაკრების წევრებსაც არაფრით ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ნაკრებამდე საკმაოდ შორი გზა იყო გასავლელი. ოსიეკში ნინო და მისი თანაგუნდელები საბჭოეთში დამზადებული ახალი ტყვიებით — „ოლიმპით“ შეაირაღეს. ამ ტყვიების ტექნიკური აგებულება მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. ოსიეკში ერთი საინტერესო ამბავი მოხდა და ამის შესახებ თავად ნინო გვიამბობს: „იმ შეჯიბრებაზე პისტოლეტიც საბჭოური წარმოებისა გვქონდა, რომელიც მართლაც კარგი იყო. აი, ტყვიისა კი რა მოგახსენოთ... ერთ-ერთ სერიაში, თუ დამიჯერებთ, უდენთო ვაზნა შემზვდა. სასხლეტი რომ მივუშვი, ტყვია ლულაში გაიჭედა. ახლოს მყოფები გაოცებულნი შეჰყურებდნენ სამიზნეს — როგორ, სალუქვაძემ საერთოდ ააცილაო? როცა ლულაში მეორე ვაზნა ჩავდე, მაშინ ვიგრძენი, რომ პირველი ტყვია იქ იყო. მაინც გავრისკე და გავისროლე. ორივე ტყვია სამიზნეს ბრტყლად მოხვდა და უცნაურად გახია ქალალდი. მსაჯები ვერ მიხვდნენ, რომ ეს ერთი გასროლის შედეგი იყო. ერთი ცხრიანი ჩამითვალეს, მეორე — რვიანი. აი, ასეთი კურიოზი შემემთხვა ჩემს პირველ საერთაშორისო ტურნირზე. იმ ხათაბალის გამო, სამი თუ არა, ორი ქულა მანც დავკარგე. მაგრამ შეჯიბრების მეორე ნახევარში, ანუ სილუეტზე სწრაფ სროლაში, მეტოქეებს გავუთანაბრდი, საბოლოოდ კი 585 ქულა დამიგროვდა და ჩემპიონი გავხდი. სეკარიჩმა მეორე შედეგი აჩვენა.“

ვიდრე იუნიორი მსროლელები იუგოსლავიაში ცდიდნენ ძალებს, იმავდროულად, მოზრდილთა ჩემპიონატზე, რუმინელმა სპორტსმენმა კაპუსტამ პირდაპირ თავი გაიგიუა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა სპორტული პისტოლეტით სროლაში - 594 ქულა. „ამ რეკორდს რა მოხსის, - უნუგეშოდ ოხრავდნენ თურმე საბჭოთა სპეციალისტები, რომლებსაც მაშინ და მსოფლიოში საუკეთე-



სო გუნდი ჰყავდათ ამ დისციპლინაში. ოსიექში, თინეიჯერების ჩემპიონატში მოასპარეზე ნინო სწორედ მაშინ დგამდა პირველ ნაბიჯებს დიდ სპორტში.

სულ ორი წელიწადი გავიდა და 18 წლის ნინო სალუქვაძე ამ თითქოსდა მიუწვდომელ მსოფლიო რეკორდს უტევდა სეულის სასროლეთზე, რომელიც ერთი წლის შემდეგ სანაიპერთა ოლიმპიური არენა უნდა გამხდარიყო. შეჯიბრებაც ოლიმპიური კვირეულის პროგრამით მიმდინარეობდა მსოფლიოს საუკეთესო 70 მსროლელს შორის... საერთოდ, 594 ქულა ძირითად სერიეში ფიზიკური შესაძლებლობის ზღვარი არ არის, ნინოს ვარჯიშზე მეტიც უჩვენებია და მაშინ, სსრ კავშირის რეკორდი სულაც 597 ქულა იყო. მაგრამ სროლაში მსოფლიო რეკორდები აღინუსება მხოლოდ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, თორემ სამიზნის გასახვრეტად ლურსმანი მაშინაც მრავლად იყო და არც უსინდისო მსაჯების მონახვა გახლდათ დიდი პრობლემა. დიდ ოფიციალურ ტურნირებზე კი - და ოლიმპიური კვირეულიც მათ რიცხვში შედიოდა (მით უმეტეს, ეს მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი იყო) - მსროლელთა ნერვები უკიდურესად დაძაბულია და სპორტსმენს უნუგეშო მარცხისთვის მცირე უყურადღებობაც ყოფნის. ამიტომ ჩაიქნიეს უიმედოდ ხელი რუმინელის რეკორდზე.

* * *

...ოლიმპიური კვირეული ფინიშს უახლოვდება. ნინოს სილუეტზე 15 გასროლა აქვს დარჩენილი და თხუთმეტივე ათიანში უნდა მოარტყას, ახალი მსოფლიო რეკორდი რომ დაამყაროს. სეულის კვირეულს ესწრება სროლის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, მექსიკელი მილიონერი ოლიგარიო ვასკესი, სასაროლეთზეც საკვირველად ბევრი მაყურებელია შეკრებილი, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანის მოლოდინში. ნინო თავის საქმეს ჩუმად აკეთებს, ჩვევად არ აქვს უკან მოიხედოს და ეს ყველაფერი დაინახოს.

მსროლელისთვის შეჯიბრებისას მხოლოდ სამიზნე უნდა არსებობდეს. სხვაგვარად ვერ მიაღწევს კონცენტრაციის იმ სიმაღლეს, ნამდვილ ჩემპიონს რომ სჭირდება. სტარტის შემდეგ არა მხოლოდ გარეშე ადამიანები, მწვრთნელებიც ერიდებიან მონაფეებთან მისვლას. ამ დროს ნებისმიერ წვრილმანს აქვს მნიშვნელობა და ზოგჯერ — გადამწყვეტიც. აპლოდისმენტები? მხოლოდ ბოლო გასროლის შემდეგ...



სეულის ოლიმპიადის
ოქროსა და ვერცხლის მე-
დალი, ბუეინის ოლიმპიური
ბრინჯაო, მსოფლიოს ექ-
სიგზის ჩემპიონობა პირად
და გუნდურ პირველობაში
და ცხრა მსოფლიო სუპერ
თასი, მსოფლიოს სუკუ-
თესო მსროლელი ქადას
ტიტული 1989 წელს...
ევროპის ჩემპიონატებზე
მოპოვებულ მედლებს ხომ
თვლა არ აქვს. აქვე სათ-
ქმელია, რომ სროლაში
მსოფლიო ჩემპიონატები,
ოლიმპიური თამაშების
მსგავსად, ოთხ წელიწადში
ერთხელ იმართება.

ჩვენი მესტენდურეები, ჩვეულებრივ ხალისიანი და იუმორის მოყვარული ხალხი, ტყვიის მსროლელებს ხუმრობით ბაიყუშებს რომ ეძახდნენ, სერიებს შორის თვითონაც წარბშეკრულნი დააბიჯებდნენ მხარზე გადებული გადახსნილი თოფებით. მათაც იგივე პრობლემები აქვთ — კონცენტრაცია... მოსკოვის ოლიმპიადის დროს, როცა თამაზ იმნაიშვილს, ფაქტობრივად, ნაბიჯილა აშორებდა ოქროს მედალს — სულ ოთხიოდე გასროლა 200-დან — მასთან მივიდა სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი პეტროვი და უთხრა, სროლისას ძალიან აყვონებ, მეტოქეები უკმაყოფილონი არიან და აუჩქარეო. პეტროვის მუცლის გვრემა გასაგები იყო: საბჭოთა კავშირიდან ის ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი იყო სასტენდო სროლაში და „კონკურენტის“ გამოჩენამ მწვრთნელობა გადავიწყა. თამაზმაც იჩქარა და ორი თევზი გაუფრინდა დაუზიანებელი. საბოლოოდ, მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა. თავად ნინო სალუქვაძეც, მოშუღარი მწვრთნელების გადამკიდე, არაერთხელ დამდგარა ამგვარი პრობლემის ნინაშე. ერთხელ, ახალგაზრდული თამაშების დროს, მასთან მივიდა ძირითადი მეტოქის — ალა ტოვკუნის მწვრთნელი და „მამაშვილიურად“ დარიგა — აბა, ნინო, შენ იცი, 48 ქულა უნდა გააკეთო ამ სერიაშიო. ქართველმა მოზარდმაც ეს ციფრი ჩაიჭედა თავში და... მხოლოდ მე-4 ადგილი დაიკავა.

...მაგრამ მოდით, სეულის სასროლეთს დაუუბრუნდეთ. დარჩენილი 15 სროლიდან ნინომ პირველი სერია ათიანზე შესასრულდა. ბოლოსნინა სერია — ისევ ათიანები. ბოლოც და... იქაურობა ტაშმა წალეკა! არის ახალი მსოფლიო რეკორდი — 595 ქულა 600 შესაძლებლიდან. ეს რეკორდი, შეიძლება ითქვას, „მარადიული“ გამოდგა — გაუმჯობესება არ ეღირსა, რადგან სულ მალე შეჯიბრების წესები შეიცვალა: სამიზნების ზომა შეამცირეს და რეკორდების ათვლა თავიდან დაიწყება. ეს უფრო ვაჟი მსროლელების გამო მოხდა. საქმე ის არის, რომ ერთ-ერთ ტურნირზე ერთბაშად ოთხმა სპორტსმენმა აბსოლუტური, ანუ მაქსიმალური შედეგი აჩვენა. მსოფლიო სროლის მამებსაც მეტი რაღა დარჩენოდათ — ადგნენ და სნაიპერებს „თვალთახედვის არე“ დაუვინროვეს.

ჩვეულებრივ თავმდაბალი ნინო სეულში ნაჩვენებ შედეგს მის სპორტულ კარიერაში ერთ-ერთ უდიდესს წარმატებად მიიჩნევს. ეს იყო ნინო სალუქვაძის პირველი პირადი მსოფლიო რეკორდი, გუნდურ პირველობაში კი ერთი წელიწადია რეკორდსმენი გახლდათ. 18 წლის თბილისელი სტუდენტი სეულიდან ერთი კი არა, ორი რეკორდით დაბრუნდა: ფინალშიც ათივე გასროლა ათიანში



„ჩასვა“ და 695 ქულით მეორე რეკორდი მიითვალა. რამდენიმე საათის წინ დამყარებული მსოფლიო რეკორდის შემდეგ ადვილი არ არის ყურადღების ხელახალი კონცენტრაცია. ამიტომაც, ნინომ გადაწყვიტა ცოტა ხნით გარიდებოდა შეჯიბრების ატმოსფეროს და შესვენების დროს ავტობუსით თამაზ იმნაიშვილის გამოსვლის სანახავად გაემგზავრა. რაკი ნახა, რომ სახელოვანი მესტენდურის თეოშები ერთი-მეორეზე იმსხვრეოდა და საქმე კარგად მიუდიოდა, დამშვიდებული დაბრუნდა სასროლეთზე.

ფინალური სერიის ჩათვლით მსოფლიო რეკორდი მანამდე ეკუთვნოდა ნინოს კიდევ ერთ მთავარ მეტოქეს და იმავდროულად თანაგუნდელს, როსტოველ მარინა დოპრანჩევას და 689 ქულას შეადგენდა. ნახეთ სხვაობა და თვალინ დაგიდგებათ მაშინდელი ვითარება, თუ რამდენად მაღლა იდგა ქართველი სნაიპერი თავის ტიტულოვან მეტოქებზე.

ეს საკვირველი რეკორდი თვითონ ნინოსთვის არ ყოფილა საკვირველი, იმდენად კარგ სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა. ეს მან სულში პირველივე ვარჯიშის დროს იგრძნო. ამის გამო იძულებული გახდა, თავისი უმაღლესი მზადყოფნა დაეფარა და რამდენიმე სერია გამოტოვა კიდეც, რადგან კორეელები, ათასგვარი აპარატურით შეიარაღებულები, მის ყოველ მოძრაობას იღებდნენ. ნინო კი შეჯიბრებამდე ჩრდილში ყოფნას არჩევდა. ფიქრობდა, რომ თუკი ოლიმპიურ კვირეულზე ლირდა თავგამოდება, ისიც მხოლოდ მსოფლიო რეკორდისთვის. ძირითადი მიზანი კი ის იყო, რომ ოლიმპიურ სასროლეთს შეჩვეოდა.

სეულის ოლიმპიური ტრიუმფი, მოგეხსენებათ, მომდევნო — 1988 წელს შედგა. მაგრამ, შედეგების თვალსაზრისით, ნინოს გამორჩეულად მაინც 1987 წელი მიაჩნია. მოდით, მივყვეთ ამ ერთი წლის მონაგარს და ვნახოთ, თუ რის გაუთება შეუძლია ახალგაზრდა ტალანტს, თუკი მას სწორ გზაზე დააყენებენ. არ დაგავიწყდეთ — მაშინ დიდი ნარმატების გზა მხოლოდ საბჭოთა ნაკრებზე გადიოდა და ვაი იმ სპორტსმენს, თუნდაც ნიჭიერს, თუკი თვალში არ მოუვიდოდა საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობას. „ათი თავით მაღლა უნდა იდგე მათზე, რომ ნაკრებში მოხვდე,“ - დღენიადაგ ეჩიჩინებოდა ვახტანგ სალუქვაძე თავის შვილსა და მონაფეს.

იმას, რასაც მიაღწია ნინო სალუქვაძემ მიტიშჩის ოლიმპიურ სასროლეთზე 1987 წლის იგნისში, ანალოგი ვერ მოუძებნეს და ვერ გაიხსენეს სპორტის ყველაზე ძლიერმა ენციკლოპედისტებმა და სპეციალისტებმა. მოსკოვის შემოგა-



ოლიმპიურ 1988 წელს
სპორტულმა უურნალის-
ტებმა ნინო სალუქვაძე
საქართველოს ნილის სა-
უკეთესო სპორტმცნად
აღიარეს. რთქმა უნდა,
ნინოს ლაურეატობა ეჭვს
არ ინკვევდა. სხვა რომ
არაფერო, პირველად მოხ-
და, როცა ქართველმა
სპორტსმენმა ერთ ოლიმ-
პიადაზე პირად პირვე-
ლობაში ოქროსა და ვერ-
ცხლის მედალი მოიპოვა.



რენში მდებარე ამ ცნობილ სასროლეთზე მოეწყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფართო პროგრამით. მაგალითად, პისტოლეტით მსროლელ ქალებს, გარდა ოლიმპიური დისციპლინებისა (მცირეკალიბრიანი და პნევმატიური პისტოლეტით სროლა), კაცების მსგავსად, კიდევ ორ სახეობაში — სწრაფსროლასა და 50 მეტრით დაშორებულ სამიზნეზე უნდა ეცადათ ძალები.

ნინო იმ წელს მართლაც შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო, თან გაგებული ჰქონდა, რომ ერთდღოულად ოთხივე დისციპლინაში აქამდე არავის გაემარჯვა. ცალკე ტარდებოდა გუნდური პირველობა ასევე ოთხ დისციპლინაში... შეჯიბრების ბოლოს გაოგნებულები იყვნენ სპეციალისტებიც და ნინოს მეტოქეებიც: იმ ნაცად, დამსახურებულ მსროლელებს 18 წლის თბილისელმა გოგონამ ნამდვილი გაკვეთილი ჩაუტარა და ყველა ოქროს მედალი თბილისში ჩამოიტანა. ეს მართლაც სასწაულს ჰქავდა... ნინო არმიის სპორტკულების ლირსებას იცავდა, ამიერკავკასიის სამხედრო ოქტავი კი ისეთი სპორტული კლუბი და შესაბამისი შედეგები ჰქონდა, ბევრი ქვეყანა ინატრებდა... მიტიშის სასროლეთზე პირველი ვარჯიში ოლიმპიური მპ-5, ანუ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლა იყო. ნინომ ძირითად სერიაში 590 ქულა მოაგროვა, ფინალში კიდევ 92 და მთელი 5 ქულით ჩამოიტავა სახელოვანი როსტოკელი მარინა დობრანჩევა. როსტოველს გულით ეწადა, მეორე ოლიმპიურ სახეობაში, პნევმატიური იარაღით სროლაში მაინც ეჯობნა ქართველი მეტოქისთვის, მაგრამ, რომ იტყვიან, სტატუს-კვო სრულად იქნა შენარჩუნებული. ნინოს — 490,5 ქულა, მსოფლიო ჩემპიონ დობრანჩევას — 485,8. ევროპის იმპლევანდელი ჩემპიონი ლოლიტა ცვეტკოვა ფინალშიც ვერ მოხვდა. ისიც არმიელი გახლდათ და ეს იყო ერთადერთი დისციპლინა, სადაც ნინოს გუნდი ოქროს მედლების გარეშე დარჩა. დანარჩენ სამ დისციპლინაში კი ამიერკავკასიელებმა ყველა მეტოქე დაჯაბნეს. ნინომ კიდევ ოქროს ორი მედალი, როგორც გითხარით, არაოლიმპიურ დისციპლინებში მოიპოვა. მცირეკალიბრიანი სტანდარტული პისტოლეტით ჩეაროსნულ სროლაში (მპ-10) 575 ქულა მოაგროვა, ხოლო ნებისმიერი პისტოლეტით 50-მეტრიან დისტანციაზე — 282 (300 შესაძლებლიდან)... სულ 7 ოქროს მედალი.

ეს იყო 18 წლის ქართველი გოგონას ნამდვილი ბენეფისი... სასროლო სპორტი უფრო გამოცდილი ადამიანების საქმეა, უმთავრესად ისინი იკავებენ საპრიზო ადგილებს, მაგრამ გამონაკლისები აქაც გვხვდება. ნინოს შემთხვევა ამ კატეგორიას განეკუთვნება.



„აი, ჩემი ოქრო-ვერცხლი. „
თბილისის აეროპორტი,
1988 წელი



ნინო სალუქვაძე: „ტექნიკის დახვენა, რა თქმა უნდა, ანაბანადან იწყება. ახლა ეს აღარ მჭირდება. მდგრადობის აღდგენა და ფსიქოლოგიური მომზადება - აი, ეს არის ჩემი სადღესო ამოცანა. მდგრადობა უნდა შეინარჩუნო და მთელი ძალების სრულ კონცენტრაციას მიაღწიო. მაღალი შედეგი ძალიან ბევრი ფაქტორის ერთობლიობით იქმნება. ფიზიკურ დატვირთვას უკეთ უძლებს ორგანიზმი, ფსიქოლოგიურ დაძაბულობასთან გამკლავება კი, რომელიც ბოლომდე არც არის შესწავლილი, გაცილებით ძნელი საქმეა. მუდმივი ვარჯიშია საჭირო. ერთ წენა-აღმდეგობას რომ გადალახავ, მეორის დაძლევა უფრო გიადვილდება. ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ იზრდება შედეგები. სტარტებს, ანუ შეჯიბრებათა რაოდენობას, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა სტაბილურობას მიაღწივ, სწორედ ეს არის შენი ოსტატობის მაჩვენებელი. სტაბილურობის შენარჩუნება ყოველთვის რთულია. მესტენდურები თვლიან, რომ სეზონზე ორ ტურნირს ვერ მოიგებ. მე რვა ტურნირი მომიგია. 1989 წელს ქალთა შორის მსოფლიოში საუკეთესო მსროლელად და-მასახელეს. არა მარტო პისტოლეტით მოასპარეზთა შორის, არამედ — საერთოდ. ჩემს გარდა, შვიდი სუპერთასი მსოფლიოში არავის არა აქვს მოგებული...“

* * *

ახლა ისევ 1987 წლის ამბებს მივუბრუნდეთ. ნინომ სეულში საარაკო მსოფლიო რეკორდი სექტემბრის მიწურულს დაამყარა. წლის ბოლოს გამართულ საერთაშორისო ტურნირზე კი ორივე ოლიმპიურ დისციპლინაში გაიმარჯვა. იმ ტურნირს „სოვეტსკი პატრიოტი“ ერქვა. საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად, ლოს-ანჟელესის ოლიმპიადის შემდეგ, იქ პირველად იასპარეზეს აშშ-ს მსროლელებმა... საუკეთესო შედეგების მიუხედავად, ქართველი მსროლელი მაინც არ წაიყვანეს ევროპის ჩემპიონატზე და სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონისთვის მხოლოდ დელი კონტინენტის იუნიორთა პირველობა გაიმეტეს, რომელიც იქვე, ფინეთის ქალაქ ლაპტიში ტარდებოდა თანმხვედრი გრაფიკით. ნაკრების მწვრთნელებმა ამ უსამართლობის გასამართლებლად ასეთი არგუმენტი მოიყვანეს: ახლა, სეულის ოლიმპიადის წინ, რაც შეიძლება მეტი მსროლელი უნდა გამოვცადოთო. ნინო კვლავ უმაღლეს დონეზე იყო მზად და ძალიან დაწყდა გული. საბჭოთა სპეციალისტები ამგვარმა სელექციურმა ექსპერიმენტმა ბოლოს ისევ იმ ადგილზე მიიყვანა, საიდანაც დაიწყეს: ერთი წლის შემდეგ სეულის ოლიმპიადაზე ისევ ნინო სალუქვაძე და მარინა დობრანჩევა (გათხოვების შემდეგ — ლოგვინენკო) გაეტანავრნენ. მათი უბირატესობა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ მსროლელთა ნაკრების თავიაცებმა ძველ წესს უდალატეს. ადრე ოლიმპიადაზე ორივე დისციპლინაში გამოდიოდა გუნდის ფავორიტი, დანარჩენი ორი კი — თითომი: ერთი — მცირეეალიბრიანი პისტოლეტით სროლაში, მეორე — პნევმატურით. სამხრეთ კორეის დედაქალაქში ნინოც და მარინაც ორივე — „ხმაურიან“ და „უხმაურო“ პისტოლეტს ისროლნენ...

ნაკრების მწვრთნელების საეჭვო გადაწყვეტილებას ნინო სალუქვაძემ ლაპტიში დამაჯერებელი გამარჯვებით უპასუხა. მცირეეალიბრიანი პისტოლეტით სროლაში იუნიორთა მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 589 ქულა მოაგროვა და სამი ქულით აჯობა... იქვე, უფროსთა ჩემპიონატში გამარჯვებულ ირინა კოჩეროვას (?!). ეს იყო ქართველი მოზარდის არნახული „თავხედობა“, მით უფრო, რომ საბჭოთა გუნდის მეორე წევრს, რომელიც ნინოს ნაცვლად გამოიყვანეს ფინეთში, დიდი მარცხი შეემთხვა — ერთი გასროლა საერთოდ ააცილა სამიზნეს, რაც კურიოზიად ითვლება ამ სპორტში. ნინოს ეს ნამდვილად არ გახსარებია. გუნდში ყველასთან კარგი ან, უბრალოდ, ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა. მეტოქეობის ინტრიგებით გაჯერებულ ნაკრებში ძნელი იყო ასე თავისი



დაჭერა და მამაც მუდამ არიგებდა — ინტრიგებში არ გაერიო, მხოლოდ შენი საქმე და სამიზნე გახსოვდესო. მაგრამ სსრ კავშირის ნაკრებში მალე გაიგეს ჯერ კიდევ პატარა ნინოს უკეთ ჩამოყალიბებული ხასიათის ამბავი. მაგალითად, მუდამ პრობლემა იყო სამიზნე დაფების გამოცვლა მორიგი სერიის შემდეგ. ნინო კი არა მარტო თავისას, სხვების სამიზნებსაც ცვლიდა. მერე ის სხვები ნამუსმა შეაწუხა და საბოლოოდ განიმუხტა სიტუაცია...

1987 წელს კიდევ სამი მნიშვნელოვანი შეჯიბრება გაიმართა: ბუდაპეშტის მსოფლიო ჩემპიონატზე ნინო სამხრეთ კორეიდან ჩავიდა, დიდხანს იყვნენ გზაში, გადაიქანცა და უნგრეთის დედაქალაქში მხოლოდ მე-4 ადგილი დაიკავა, თუმცა გუნდურ პირველობაში სსრკ ნაკრებმა 9 ქულით ჩამოიტოვა მე-2 ადგილზე გასული პოლონელები. იმ წელს ნინო სალუქევაძემ მსოფლიო თასიც მოიგო, ლვოვიდან კი საკავშირო თასი ჩამოიტანა. მაინც რამდენი ჯილდო გამოდის იმ ერთ წელინადში, ანუ 1987 წელს?...

ნინო სალუქევაძე ასაკით ყველაზე პატარა იყო მათს შორის, ვისაც სროლაში საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ოფიციალურ ჩემპიონატში გამოსვლის უფლება მისცეს. მოზრდილთა მსოფლიო ჩემპიონატში ნინო პირველად 1986 წელს გამოვიდა. ეს შეჯიბრება ყოფილი გდრ-ის ქალაქ ზულში ჩატარდა. 17 წლის ნინოს ნაკრებში კონკურენტებთან ანგარიში სრულად ჰქონდა გასწორებული — ყველას ჯობნიდა, თვით მარინა დობრანჩევასაც კი, უდავოდ ნიჭიერ, ტიტულოვან მსროლელს, მაგრამ ნინოს, რომელსაც კიდევ სამ წელინადს შეეძლო იუნიორთა ჩემპიონატებში ეცადა ბედი, დიდების ნაკრებში მხოლოდ ერთი დისციპლინა ანდეს და ნინომ ზულში მხოლოდ სპორტული პისტოლეტით ისროლა. ვახტანგ სალუქევაძე, იმ დროს ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი, გდრ-ში არ ნაიყვანეს.

...დაიწყო საცდელი სერია და... არც ერთი ათანი! როგორც ნინო იხსენებს, მაშინ თვალინ დაუტრიალდა ყველაფერი — აი, ახლა დაწყება დაცინვა, ნიშნის მოგება, რა უნდა 17 წლის გოგოს მსოფლიო ჩემპიონატზე და სხვა ამდაგვარი... ნინომ ძალა მოიკრიბა, სხვა განწყობით გავიდა ცეცხლის ხაზზე და დაიწყო ათანების სერია. სილუეტზე სროლის წინ მასთან საკავშირო ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვიქტორ შამბურკინი მივიდა და უთხრა: გოგოებმა ცუდად ისროლეს, ანუ მარინა დობრინჩევამ და ირინა კოჩეროვამ და აბა, შენ იცი, მათი შეცდომები უნდა გამოასწოროო.


ასეთი დარიგება მსროლელზე ცუდად მოქმედებს, თუმცა ნინომ მაინც მო-
თოვა ნერვები და 297 ქულა მოაგროვა 300 შესაძლებლიდან. შამბურკინი კმაყო-
ფილი იღიმებოდა და ცერა თითი მაღლა ეჭირა — ყველაფერი რიგზეაო. თურ-
მე, საბჭოთა გუნდს მსოფლიო რეკორდი — 1767 ქულა 1800 შესაძლებლიდან —
დაემყარებინა და, ბუნებრივია, პირველი ადგილიც საბჭოელებს დარჩათ. ასე
გახდა ნინო პირველად მსოფლიო ჩემპიონი, პირად პირველობაში კი ბრინჯა-
ოს მედალი დაიმსახურა წარმატებული ფინალური სერიით, როცა მეოთხედან
მესამე ადგილზე გადაინაცვლა. არ დაგავიწყდეთ, ნინოს 7-8 წლით უფროს მე-
ტოქეებთან ჰქონდა საქმე. იმ წელს, აგვისტოში, სსრ კავშირის სპარტაკიადაზეც
იასპარეზა და მესამე შედეგი აჩვენა.

...პისტოლეტს სახლში შეეჩია, ბავშვს იგი თოჯინებს ერჩია. მსროლელი
მამაც ხალისით დაჰყვა შვილის ნებას. მერე ცდილობდა მისთვის უფრო მსუბუქი
— პნევმატური იარაღის სწორად დაკავება და დგომა ესწავლებინა, ვინიცობაა...
თუმცა მაშინ სალუქვაძეების ოჯახში დედისერთა ნინოს სასროლო კარიერაზე
ჯერ კიდევ არ ფიქრობდნენ.

მალე ვითარება შეიცვალა.

ნინო სალუქვაძე: „პატარაობისას ავჭალის სასროლეთზე ვთამაშობდი
ხოლმე. დიდი სასროლეთი იყო, გილზებს ვაგროვებდი, ოქროსფერი იყო და მომ-
ნონდა. ძალიან მომწონდა დუელიც, გადასროლას რომ ეძახიან (თანაბარი შე-
დეგების მქონე ორი სპორტსმენი ასე არკვევს ურთიერთობას, ანუ პირველობის
საკითხს — გ.ჩ.) — მარტო ორნი იდგნენ და ისროდნენ, სხვები არა. მე და დედა
ზოგჯერ თან დავყებოდით ვახტანგს სოხუმში, ეშერის სასროლეთზე. ამ სას-
როლეთს ლილმპიური ბაზის სტატუსი ჰქონდა. ვარჯიშის შემდეგ სათევზაოდ
მიღიოდნენ მამა და მისი ძმაკაცები, დედა საჭმელს ამზადებდა... სწორედ ეშე-
რაში გადავყლაპე პნევმატური პისტოლეტის გილზა. თავი კუთხურად ჰქონდა
გაჭეჭყილი, სასულეში ჩამივარდა. უმაღ თბილისში გამომაქანეს და... ვერაფერი
იპოვეს. მერე ეს ამბავი რომ გავიხსენე, ერთმა უურნალისტმა მითხრა, ეგ რომ
მცოდნოდა, კალამს გადავყლაპავდიო.

რაზე აღარ დავყავდი მშობლებს — კალათბურთზე, მუსიკაზე, ცეკვაზე... მა-
შინ, ასაკის პირობაზე, საქმაოდ მაღალი გოგო ვიყავი. ფორტეპიანო ძალიან მე-
ჯავრებოდა, მუსიკალური მონაცემები არ მქონდა და მაინც ხუთიანზე გაბარებდი
გამოცდებს. უნოტოდ, მექანიკურად ვიმახსოვრებდი ყველაფერს. სამუსიკო სას-



ვახტანგ სალუქევაძე:
„ადრე წერდნენ, რომ მე
არ მინდოდა ნინოს სრო-
ლაზე მიყვანა. მოიგონებენ
ხოლმე რაღაცას... საქმე
სხვაგვარად იყო. მისი
სკოლიდან კალათბურთის
სექცია ნახალოვაში გა-
დაბარვეს და დილმიდან
იქ სიარული ველარ შევ-
ძლია. ბავშვი საღმე ხომ
უნდა მიგვეყვანა? 12-13
წლამდე სროლაზე ტარება
არ შეიძლება. სროლაზე
რომ მიგიყვანები ნინოს
ნიჭისა ჯერ არაფერი
ვიცოდა, მაშინ იმას ვფიქ-
რობდა, იქნებ საქართვე-
ლოს ნაკრებში მოხვდეს,
მერა სპორტულ სიაშიც
შეიყვანებ და უმაღლეს
სასწავლებელში ადგილად
მოეწობა-მეთქი...“

წავლებელში მისაღები გამოცდების წინ კედლის საათის ისრები გადავწიე, რომ
დამეგვიანებინა, დაკვრისას კი შეგნებულად ავურიე, მაგრამ... მაინც მიმიღეს.

ერთი წლის ჯახირის შემდეგ, როგორც იქნა, მამამ მუსიკალური სასწავ-
ლებლიდან გამომიყვანა. კალათბურთი ძალიან მომწონდა, მაგრამ დარბაზი
შორს იყო და ვარჯიშს თავი დავანებე. მოკლედ, დავრჩი ეს მოძრავი ბავშვი
უსაქმოდ. ხე არ დამიტოვებია შორიახლო, ზედ რომ არ ავსულიყავი... დედაჩემი,
ნუნუ, რაკი ამ ყოფაში მხედავდა, მამას ჩააცივდა: რაც არის, არის წაიყვანე შენს
სპორტშიო. ერთადერთი, რაც მაშინ მათ უჟოხარი, თოფზე არ მინდა-მეთქი: ჩა-
იცვი, დაწექი, ისროლე, თანაც ამდენი სიმძიმე ათრიე... თოფის მსროლელებს
სხვანაირი უნიფორმა აქვს, სკაფანდრივითაა. მხოლოდ პისტოლეტი! — განვაც-
ხადე კატეგორიულად.

მამა თან დამყვებოდა, მავარჯიშებდა, მაგრამ ოფიციალურად უფლება არ
ჰქონდა ჩემი მწვრთნელი ყოფილიყო, რადგან ჯერ ისევ მოქმედი სპორტსმენი
იყო. თავის მწვრთნელთან, გამოცდილ ოთარ კვირიკაშვილთან მიმიყვანა...“

ვახტანგ სალუქევაძე: „ადრე წერდნენ, რომ მე არ მინდოდა ნინოს სროლაზე
მიყვანა. მოიგონებენ ხოლმე რაღაცას... საქმე სხვაგვარად იყო. მისი სკოლიდან
კალათბურთის სექცია ნახალოვაში გადააბარგეს და დილმიდან იქ სიარული
ვეღარ შევძელით. ბავშვი სადმე ხომ უნდა მიგვეყვანა? 12-13 წლამდე სროლაზე

ტარება არ შეიძლება, პისტოლეტი მაქვს მხედველობაში. ამ ასაკამდე ბავშვებს სუსტი ხელები აქვთ, პატარები და დიდები კი ერთნაირი იარაღით ისვრიან. სროლაზე რომ მიყიყვანე, ნინოს ნიჭისა ჯერ არაფერი ვიცოდი, მაშინ იმას ვფიქრობდი, იქნებ საქართველოს ნაკრებში მოხვდეს, მერე სპორტულ სიაშიც შეიყვანენ და უმაღლეს სასწავლებელში ადვილად მოეწყობა-მეთქი...“

ოთარ კვირიკაშვილი: „მე და ვახტანგი ერთად ვმუშაობდით საბჭოთა არმიის მეათე სპორტულ კლუბში, მე მწვრთნელი ვიყავი, ის — სპორტსმენი. ერთ მშვენიერ დღეს მთხოვა, ნინოს უნდა დავაწყიშინ ვარჯიში და თუ მიიღებო. იმ დროს გოგოების გუნდი არ მყავდა, მაგრამ ვახტანგს უარს ვერ ვეტყოდი. იმ პერიოდში ავჭალის სპორტული კომპლექსი დაანგრიეს და დიღომში, სამუალო სკოლის დარბაზში მოვაწყვეთ ტირი. იქ დაიწყო ყველაფერი.“

თავიდანვე ეტყობოდა ნიჭი, თუნდაც იმაში, რომ მუდამ დიდი ყურადღებით გვისმენდა. ჩუმი იყო, წყნარი, ხმას ვერ ამოადებინებდი. სულ მარტო ყოფნა უნდოდა — თოჯინებთან. თავისი ხელით უკერავდა კაბებს. მამას ეშინოდა კიდეც, ასე ჩაკეტილი არ გაიზარდოს. როცა სავარჯიშოდ მოიყვანა, ნინო ყველაზე უმცროსი იყო, პატარა დასავით ეპყრობოდნენ სხვა გოგოები... ნინო ხელის ფორმით ძალიან ჰგავს დედას და როგორც ჩანს, ხასიათიაც: თუ რამე მოინდომა, აუცილებლად მიაღწევს მიზანს. ნინომ ყველაფერს მიაღწია თავისი ხასიათით, განწყობით, ძალიან უნდოდა დიდი მსროლელი გამხდარიყო და გახდა კიდეც... ვარჯიშზე ჩუმად იყო, იდგა შოშიასავით და გვიყურებდა, რას ვეტყოდით. ხასიათის სიმშვიდე ძალიან კარგად ახასიათებს მსროლელს. ახლაც კი, ასეთი ტიტულიანი სპორტსმენი, ცეცხლის ხაზზე რომ შემოვა, ჩურჩულით ლაპარაკობს, რომ სხვებს ხელი არ შეუშალოს, სხვებსაც ამასვე არიგებს — თვითონაც ხომ უკვე მწვრთნელია... თავიდანვე ძალიან სტაბილურად მიდიოდა მაღალი შედეგებისკენ. ნინო ტაშენტიდან, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადიდან რომ ჩამოვიდა, იმ პერიოდში ვახტანგს ჯარიდან დემობილიზაცია მოუწია, მაგრამ მუშაობა ისევ არმიის სპორტულ კლუბში განაგრძო. მეგობრები ვიყავით და ვართ. მაშინ ვუთხარი, ანი ნინოს შენ მიხედავ და კიდევ ათ ბავშვს გაბარებ, ჯგუფის შექმნაზე რომ არ ინვალო-მეთქი. ხომ არ გენებინებაო — მკითხა. აბა, რა იყო საწყენი. ეგ მყავდა ყველაზე ნიჭიერი, და კიდევ ბორის კოკორევი...“

თემას უნდა გადავუხვიო და ბორის კოკორევზე ერთი ამბავი გიამბოთ. კოკორევი და მისი თანაგუნდელები — საბჭოთა იუნიორ მსროლელთა ნაკრების



ნინო სალუქვაძე: „სასროლო სპორტი სპეციფიკურია — სულ უძრავად უნდა იყო. ძალიან გამოჭირდა. ჩეა-რობენურ სროლას, სოლუქტებზე, უფრო ვეგუბოდოდ. 12 წლის ვიყავი, ვარჯიში რომ დავიწყე... თავიდან არავთარო განსაკუთრებული მონაცემები არ მქონდა. პირიქით, ცოტა თვალს მაკლდა, ამიტომ ვთვლოდი, რომ ეს სპორტი ჩემთვის დროებითი იყო.“

წევრები, ვარჯიშის შემდეგ ლუუზნიკების სასტუმროში ისვენებდნენ. ახალგაზრდები იყვნენ და ცოტა გამხიარულება გადაწყვიტეს, თანაც, როგორც რუსები იტყვიან, სასამოვნოსა და სასარგებლოს ურთიერთშეთავსებით. მოკლედ, ისევ სროლა დააპირეს, ოღონდ ესერი ტერორისტი ქალის, ფანი კაპლანის გზას დაადგნენ და სამიზნედ... ლენინი ამოარჩიეს. პროლეტარიატის დიდი ბელადის ძეგლი მათვების ჩვეული დისტანციის — 50 მეტრის სიშორეზე იდგა, თავი კი სპორტული სამიზნის ზომისა მოუჩანდა. დაფეთხებული მილიციონერები უცებვერ გაერკვნენ, საიდან ისმოდა ტყვიების ზუზუნი, მერე კი, როცა „საცეცხლე წერტილის“ ადგილსამყოფელი დაადგინეს, კებ-ეს თანამშრომლები გამოიძახეს. ძერუნისკის მოედანზე, უშიშროების საშიშ შენობაში დაკითხვა დიდხანს გაგრძელდა. გამომძიებლებს პირველ რიგში იმის გამორკვევა სურდათ, დივერ-

სიას ჰქონდა ადგილი თუ ეს მხოლოდ ყმაწვილური ანცობა იყო. ამასობაში იქვე მიაპრძანეს მსროლელების თაგჩაქინდრული მწვრთნელებიც, რომლებმაც ამ ამბისა ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ. ბორია კოკორევი თბილისელი ბიჭი იყო, ჩვენებური ტრადიციებით გაზრდილი და ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო — მე ვისროდიო. როცა კგბ-ში დარწმუნდნენ, რომ საქმეს დივერსიის ნატამალიც არ ეტყობოდა, ყველანი გამოუშვეს, მაგრამ სასტიკი გაფრთხილება უსაგზლეს — ერთი შემთხვევაც და ციმბირი უკან დაგრჩებათ. უშიშროებას კი გადაურჩნენ, მაგრამ დინამოელი კოკორევი სროლიდან გააგდეს, მის მწვრთნელს ოთარ კვირიკაშვილს კი სასტიკი საცვედური გამოუცხადეს. მთელი წელინადი იბრძოლა ოთარმა თავისი მონაფისითვის — ოლიმპიურ მედალს კარგავთო — ამუნა-თებდა ნაკრების ხელმძღვანელობას და ბოლოს მაინც თავისი გაიტანა. მაგრამ შემდგომ, ატლანტაში აღებული ის ოლიმპიური ოქროს მედალი საქართველომ კი არა, რუსეთმა მიითვალა. საქმე ის არის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, კოკორევი რუსებმა გადაიბირეს და ატლანტის ოლიმპიადაზე რუსეთის სახელით გამოიყვანეს.

ნინო სალუქეაძე: „სასაროლო სპორტი სპეციფიკურია — სულ უძრავად უნდა იყო. ძალიან გამოყირდა. ჩქაროსნურ სროლას, სილუეტზე, უფრო ვეგუებოდი. 12 წლის ვიყავი, ვარჯიში რომ დავიწყე... თავიდან არავითარი განსაკუთრებული მონაცემები არ მქონდა. პირიქით, ცოტა თვალს მაკლდა, ამიტომ ვთვლიდი, რომ ეს სპორტი ჩემთვის დროებითი იყო. თურმე, თვალის პრობლემა ჩემთვის პრობლემა არ ყოფილა, პირიქით, ტექნიკის კარგად შესწავლაში დამტემარა, რადგან სამიზნეს ბუნდოვნად ვხედავდი და სხვებზე მეტი ძალისხმევა მჭირდებოდა. ყველაზე პატარა ვიყავი გუნდში. მეორე თანრიგის ნორმატივი რომ შევასრულე, მერე ერასნოდარში იყო ერთი სანეროთნელი შეკრება, მერე მეორე და შედეგები წავიდა მკვეთრად მაღლა. სხვათა შორის, კრასნოდარში რუსეთის მოსწავლეთა ღია პირველობაში გამოვედი და ორივე დისციპლინა მოვიგე. შემდეგ კიშინივში წავედით და იქიდან სპორტის ოსტატი დავბრუნდი. მაშინ ცხვარი წააგო ჩვენმა უფროსმა მწვრთნელმა სოსო ქუსიკაშვილმა. წინასწარ დადო პირობა, თუ შენ სპორტის ოსტატობის ნორმატივს შეასრულებ, ცხვარი ჩემზე იყოსო. თავის დროზე ბატონმა სოსომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმაში, რომ სსრ კავშირის ნაკრების წევრი გავხდი.

სკოლაში სწავლის პერიოდში ხშირად მიწევდა გაცემითილის გაცდენა, თუმცა რვა კლასი მაინც ხუთებზე დავამთავრე. ძალიან მეხმარებოდნენ მასწავლებ-



ლები, მეც არ ვზიარმაცობდი — შეკრებებზე, შეჯიბრებებზე სულ თან მიმქონდა წიგნები, მაგრამ შეჯიბრების დროს კითხვას მიშლიდნენ, რომ თვალები არ დამლოდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მათემატიკის მასწავლებელი, ბატონი ჯემალ ჯიქია. მასთან ოთხიანის მიღებაც ძალიან ძნელი იყო, მე კი ნაკლები არასდროს დამიმსახურებია. დღესაც მახსოვს მისი გაკვეთილები. სკოლა ოთხიანებზე დაგამთავრე...“

* * *

1984 წელს იყო ტაშქენტი, მოსწავლეთა საკაფეირო სპარტაკიადა. ტაშქენტში აკრედიტებულ უურნალისტთა შორის მეც ვიყავი, მაგრამ ნინოს ტრიუმფს უშუალოდ ვერ ვუყურე, რადგან სასროლეთი უზბეკეთის დედაქალაქიდან მოშორებით, ჩირჩიკში მდებარეობდა, იმავდროულად კი ტაშქენტში უამრავი სხვა შეჯიბრება ტარდებოდა. ან ვინ იცოდა, რომ ნინო ასეთ წარმატებას მიაღწევდა და ოთხ ოქროს მედალს მოიპოვებდა.

ტაშქენტურ ამბებს და ნინო სალუქვაძის ტრიუმფს უურნალმა „მართვემ“ საგანგებო წერილი („ოთხგზის ჩემპიონი“) მიუძღვნა:

„ლიდერების ტვირთი მძიმეა, მით უმეტეს, თუ ეს როლი თხუთმეტი წლის გოგონას აკისრია. მაგრამ თბილისელმა მოსწავლემ ნინო სალუქვაძემ მოსწავლეთა XVII სპარტაკიადის მსვლელობისას ბრწყინვალედ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები, ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა და მართლაც ლიდერის შესაფერის ქულების მარაგი მისცა ჩვენს ტყვიის მსროლელთა გუნდს.“

ეს წყარი, დიდთვალება გოგონა შარმან შემოდგომაზე ჩარიცხეს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში. მაშინ ალბათ ვერავინ იუქირებდა, რომ ნახევარ წელინადში მეორეთანრიგოსანი სპორტსმენი ჩვენი სწაიპერთა გუნდის ლიდერი გახდებოდა. მართალია, ნინომ მაშინვე მიიპყრო ყურადღება სერიოზულობითა და გულმოდგინებით, მაგრამ მარტო ამ თვისებებით ძალზე ძნელია სწრაფად დაიპყრო სპორტული ოსტატობის მწვერვალები. ნინო დეკემბერში პირველთანრიგოსანი გახდა, წლეულს გაზაფხულზე ზედიზედ შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და ოსტატის ნორმატივები და საკაფეირო შეჯიბრებებშიც ისახელა თავი. ის კი არა, ესტონეთის გუნდთან სამატჩო შეხვედრაში თბილისელმა სპორტსმენმა საერთაშორისო კლასის შედეგიც „დაიმორჩილა“ (შეხვედრა ამხანაგური



ნინოს მამა, ბატონი
გახტანგი 1957 წლიდან,
20 წელზე მეტი წელი მან-
ძილზე ასაარეზობდა სრო-
ლაში. რამდენიმეჯერ ყო
საბჭოთა კავშირის ჩემპი-
ონი და პრიზიორი. 1967
წელს მოიგო საკავშირო
ბირველისა, 50 მეტრზე
სროლაში 561 ქულა მოაგ-
როვა და საბჭოთა კავში-
რის რეკორდი გაიმტორა,
რაც იმადეროულად მსოფ-
ლით რეკორდზე უკეთესი
შედეგი იყო. ჯერ დოსაა-
ფის, შედეგები კი ორმიერთა
ნაკრების შემადგენლო-
ბაში ხუთვერ გაიმარჯვა
საკავშირო ჩემპიონატებში



ნინო სალუქევაძე:
„რა იყო ჩემვეის ოლიმ-
პიადა და გამარჯვება? ეს
იყო ჩემი ყველაზე დიდი
სიხარული, უკეთესი არ
არსებობდა. მაშინ სხვა
შეგრძნება მქონდა, გან-
საკუთრებული და სხვანა-
ირად ამაღლებული.“

იყო და ნინოს ეს წოდება ოფიციალურად არ დაუმტკიცეს). ბოლოს კი მისი გამოსვლა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის სარბიელზე ტრიუმფით დამთავრდა...

მაინც რაში მდგომარეობს ნორჩი მსროლელის წარმატებათა საიდუმლო? ნინო უდავოდ ძალიან ნიჭიერია, მაგრამ მის მიღწევებს მხოლოდ ნიჭიერება არ უდევს საფუძვლად. ჩვენი მსროლელთა გუნდის ხელმძღვანელობის თქმით, ნინო თავისი ასაკისათვის უჩვეულო სერიოზულობით ეკიდება ვარჯიშს. საზრიანი, დაკვირვებული გოგონა მექანიკურად კი არ ასრულებს მწვრთნელის მითითებებს, არამედ თვითონაც ცდილობს ჩასწვდეს სროლის საიდუმლოს. ასპარეზობაზე კი.... „იმ დროს ჩემთვის სამიზნის გარდა არაფერი არსებობს“, — ამბობს სპორტსმენი. ეს მსროლელისათვის უაღრესად ძვირფასი თვისება — შეჯიბრის დროს მთელი ყურადღების, ძალ-ღონისა და ნებისყოფის დაძაბვის უნარი — თვით მრავლისმნახველ სპეციალისტთა აღტაცებასაც კი იწვევს.

ისეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში, როგორიც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაა, ყველაზე მაღლა გუნდის ინტერესი დგება. პისტოლეტის სროლაში ჩვენი გოგონათა გუნდის მწვრთნელმა, ნინოს მამამ, წარსულში თავად შესანიშნავმა მსროლელმა ვახტანგ სალუქაძემ, მონაფერებს უპირველეს ამოცანად გუნდური პირველი ადგილის მოპოვება დაუსახა. ამოცანის შესრულება ორმაგ ქულებს მოუტანდა ჩვენს გუნდს.

ნინომ პირადი ინტერესი დავიწყა და მიზნად დაისახა ქულების რაც შეიძლება დიდი მარაგი შეექმნა თავისი „მეწყვილისათვის“ — ელენე სმირნოვასთვის (გუნდური პირველი ადგილის ბედს ორი სპორტსმენის შედეგების ჯამი წყვეტდა). იგი სიხარულით ცას ეწია, როდესაც მცირეეალიბრიანი პისტოლეტით შეჯიბრებაში უახლოესი მეტოქე 4 ქულით ჩამოიტოვა. ეს უპირატესობა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჩვენ წყვილს ჩემპიონობა ეზეიმა.

პეტერბური პისტოლეტის სროლა ნინომ კვლავ „ჩემპიონის რაგში“ დაამთავრა — იმ დროს გოგონა მაინც უკმაყოფილ იყო საკუთარი თავისა. იმიტომ, რომ ამჯერად სმირნოვას „ნუეგშად“ მხოლოდ ერთქულიანი უპირატესობა დაუტოვა. მერე კი თავგამოდებით გულშემატკივრობდა მეგობარს, მხარს უჭერდა უჩუმრად, თავისთვის, როგორც მსროლელებს სჩვევიათ. მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად, როდესაც გაიგო, რომ ჩვენს გუნდს ვერავინ შეეცილებოდა პირველობას. ნინოს თავგამოდებაშ ჩვენს მსროლელებს აღიარებული ფავორიტი, უკრაინის გუნდი დაამარცხებინა.



ნინოს წარმატება მოულოდნელი აღმოჩნდა თვით მისი ახლობლებისა და მეგობრებისათვის. ზეიმით შეეგებნენ მეცხრეკლასელ სპორტსმენს 140-ე საშუალო სკოლაში, განსაკუთრებით — თანაკლასელები. მერელა გაიგო ნინომ როგორ დააფრიალებდნენ ისინი მთელ სკოლაში გაზეთებს სურათით და მასწავლებლის შეკითხვაზე, სად არის სალუქვაძეო, სიცილით პასუხობდნენ: „ლელოში“, პირველ გვერდზე „(ურნალი „მართვე“ № 4. 1984).

* * *

... 1987 წლის შემოდგომის შემდგომ ნინოს ოლიმპიადაში მონაწილეობა ეჭვს არ იწვევდა - ახლოსაც არავინ იყო შედეგებით. ოლიმპიური სეზონის დასაწყისში კიდევ ერთი სასწაული მოახდინა: მაშინდელ ქუნიგრადში, საკავშირო ტურნირზე აბსოლუტური შედეგი აჩვენა მრგვალ სამიზნეზე — 300 ქულა ამდენივე შესაძლებლიდან. იმ დროს სამიზნე ისევ ძველი სიდიდისა იყო, მხოლოდ სილუეტი იყო შეცვლილი. სილუეტზე სწრაფ სროლაში კი 298 ქულა მოაგროვა და ჯამში იშვიათ ანგარიშს — 598 ქულას მოუყარა თავი. მაგრამ, როცა მეორე დღეს ნინო ტირში დაბრუნდა, მის პისტოლეტს ნემსი გატეხილი ჰქონდა. ყველანი — ბიჭებიც და გოგოებიც — ერთ ბოქსში ინახავდნენ იარაღს და ნინო ხელალებით ვერავის დაადანაშაულებდა.

მეორე ასეთი, რბილად ვთქვათ, კურიოზი სულ მალე, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე შეემთხვა. ნინომ იქაც გაიმარჯვა, მაგრამ შეჯიბრების მეორე ნახევრის მსვლელობისას პისტოლეტის ჩახმახი გაუტყედა. ცვლაში თითოეულ სპორტსმენს თავისი დრო აქვს სროლისთვის და ამ დროში უნდა ჩაეტიოს. ბოქსები ახლოს იყო, ხელოსანი — შორს. ნინომ რომელიღაც თანაგუნდელის პისტოლეტი აიღო — იგივე სისტემის უნდა ყოფილიყო აუცილებლად. ძლივს მიუსწრო ბოლო სერიას, ერთი ქულით აჯობა მეორე ადგილზე გასულს, იმის მიუხედავად, რომ მომსახურე ჯარისკაცი, სამიზნების გამომცვლელი უშლიდა ხელს — ყოველი წარმატებული სერიის შემდეგ ხელს ართმევდა, რაც ნინოს ყურადღებას უფანტავდა.

როგორც უკვე აღვნიშნე, სროლაში თითოეულ ნიუანსს დიდი მნიშვნელობა აქვს. ნინოს თავისი ხელოსანი ჰყავდა, იარაღის კონსტრუქტორი ვლადიმირ რაზარიონოვი. შეჯიბრებაზე სულ სვანური ქუდით დადიოდა, რათა ადვილად

մոյենածատ ქարտՎԵլլեմքներ. մեթրովի ցուլու գայսկագա սանցալու. ման Շեյմենա աხալու օարանու, ժալուան կարցու դա մոերեցելուն, մացրամ սածքուա կաշմուրու րում դամշա-
լու, բայսեմին ամ օարանու նաթինու ցապուցքս — ծյռորուսո ուսու րածարուոնցու դա
ամութում դահացրես. ցուլմաց ամու ցամու ումուցունա. ախլա մի օարանու ցըրմանու շի-
զեմքն սեզա սահելուտ, մացրամ պայելա միրուուլմա ուսուս, րում ուց րածարուոնցու ըուս-
թուուլուցուա. նոնո սյուլմու աხալու օարանու ար ցունքու դա ուսու րածարուոնցու ըուս-
թուուլուցուա. ախլաց ամ օարանու ուսուրուս, մացրամ, ցիսագու, պայու ախլուտ
— ցըրմանումու դամինացելուտ. կարցադ մորցցելու օարանու ցանսացուուրցու դուցու
դուցու մենմշունելուն այս նուսուուլուցուա սրուանու. ուս նոնոմ ծացմշունելուցուա, ուսուս,
ուս գրուուն, րուցա մամամումա սրուանու ծուրցու հայութուուլուցու հայութուա.

նոնոս մամա, ծացուն զաթիանցու 1957 նուունա, 20 նուլու մեթու ենոս մանճուու-
նու ասպարյունուն սրուանու. րամցենումէյէր ուսու սածքուա կաշմուրուս հիմքուոնու
դա პուունուու. 1967 նուլս մոուց սացացմուրու ծուրցուուլուն, 50 մեթրու սրուու-
մու 561 կյուլա մոացրուա դա սածքուա կաշմուրուս րուկորու ցամեուրա, րաց օմաց-
դրուուլա մուուլուու րուկորու ուկուու շեցուցք ուսու. չեր դուսացուս, շեմ-
ցուց կո արմուցու նակրեմու մեցացցունուն կուտչեր ցամարչուա սացացմուրո
հիմքուոնացուն, սացրտանուուսու շեցունուն կուտչեր ցամարչուա սացացմուրո
ցիաս. մացալուուտ, կարուս մուուլուու հիմքուոնացուս նոն զաթիանց սալույցացու
պայելա սացունուու, անու շեցարհիւու գուրնուու մոուց դա նակրեմու ծուրցուու-
մուրու նուրա դուցուու ուսուու նուսու կո ցունքու 5 մուրուու ունճա
ցամուուուու. մացրամ ցրու-ցրու ծուրցուուս նոն կարտՎԵլլու մուրուու ցա-
ցուու, կուսուրու ցայուշեմք դա զելար ուսուրու... սածքուա նակրեմու մենցունե-
լուն աց ումալ ամուսալուս սուուն, տումու մուրուու հիմքուոնացամց սացմառ
գրու հիմքուու...

զաթիանց սալույցաց սածքուա կաշմուրուս ախալցաթրուու նակրեմու
մենցունելու ուսու. մուսու կուլմուն զանուունուն ամ ցունքու շեցունուն 1985
նուուս ցըրուուս հիմքուոնացու 11 կյուլու աջուն ույց, կարալուուրա մոասպարյ-
նու մութրուու նակրեմու. ծուրցու նակրեմու ցամարչուա շեցտացանցու ուցուու
մենցունելուս տանաշեմնեց, մացրամ ուարու ույց — մե մենցունելու ցար դա արա սց-
լույցուներուու.

զաթիանց սալույցաց: „նոնո տացուունց զանուու ուսուունուու ցամուրիցուու.
շաբաթունուու ցուց ուսու, ար մածուցա, րամցու պայու ցուց ցուց ուտեղուու. սպորտուս րումել



25 წელინადია გრძელდება სალუციანისა და სერბი იანა სეკარიჩის დაპირისპირის სპორტში და მეცნიერება სასროლის მიღმა: „იანა ჩემზე თოხი წლით არის უფროსი, შესანიშნავი ადამიანია. რაღაცნარად ერთმანეთს უგავართ ხსიათით, ამასთან, როგორც მე, მასაც ქალ-ვაჟი ჰყავს. ოჯახებით კმედობრობთ...“

სახეობაშიც არ უნდა წასულიყო, მანც ჩემპიონი გახდებოდა თავისი ნიჭით, მონდომებით და დისციპლინით... 15 წლისამ ტაშკენტში მოსწავლეთა სპარტაკიადა რომ მოიგო, საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს. იქ ექიმებმა მსროლებებს სპეციალური ხელსაწყოთი საგულდაგულოდ შეუმოწმეს მაჯის სიმაგრე. ყველას ოცი წლის გოგომ აჯობა, რომელმაც 33 ერთეული აჩვენა. ბოლოს ნინო მივიდა ხელსაწყოსთან, ხელი მოუჭირა და ისარი 46-ზე ავარდა. თვალებს არ დაუჯერეს: ასეთ პატარა გოგოს საიდან ამხელა ძალაო. ისევ გაამეორებინეს და კვლავ 46 დააფიქსირა... სროლის დროს ხელს უნდა გაუფრთხილდე, მთავარი დატვირთვა სწორედ ხელზე მოდის. ერთ შეჯიბრებაზე უამრავჯერ გიჩევს პისტოლეტიანი ხელის აწევა. ამას დაუმატეთ ნახევარსაათიანი მოთელვა პისტოლეტის ხშირი დამიზნებით, რათა სპორტსმენი, ასე ვთქვათ, სამუშაო მდგომარეობაში მოვიდეს. პისტოლეტი კი კილოგრამზე მეტს იწონის. ნინოს ახლაც ტკივა მხარი.

ერთი ცნობილი თეორეტიკოსი იყო, გვარად ვაინშტაინი. წიგნები გამოსცა სროლის შესახებ. არმიელ სპორტსმენებს ერთ ვარჯიშზე ზოგჯერ ორასჯერაც ასროლინებდა, მე კი ასს არ ამიცილებია, მათზე ორ-სამჯერ ნაკლებს ვისროდით. ჩემთვის მთავარი იყო სროლის ხარისხი. დღემდე ასე ვფიქრობ. მირჩევნია, ჩემმა მონაფებ ათვერ გაისროლოს და კარგად, ვიდრე, ასჯერ და არაზუსტად. სანაკრებო შეკრებებზე, სერიოზული დატვირთვის მეორე დღეს ნინოს მსუბუ-

ქად ვავარჯიშებდი. არ ვჩეარობდით. როცა დობრანჩევა სროლას თითქმის ამ-თავრებდა, ნინო ჯერ მოთელვას გადიოდა.

ზულში, ნინოს პირველ დიდ მსოფლიო ჩემპიონატზე, მე ტურისტული ჯგუფის შემადგენლობაში გავემგზავრე. წასვლამდე ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, ვიქტორ შამბურკინმა მჟითხა, ნინოს რით დავეხმაროთო. ხელი არ შეუშალოთ-მეტქი, მხოლოდ ეს ვთხოვე. ჩვენი ტურისტული ჯგუფი სხვა ქალაქში იყო დაბანაკებული, შეჯიბრებას ვერ ჩავუსწარით და ტელევიზორით ვუცქირეთ ყველაფერს. ის ჩემპიონატი ირინა კოჩარევამ მოიგო 591 ქულით, მარინა დობრანჩევას 590 ქულა ჰქონდა, ნინოს — 587. ფინალში კი დობრანჩევამ გადაასწრო კოჩეროვას. უნიჭიერესი მსროლელი იყო, ოლონდ — ცოტა უდისციპლინო, დალევაც შეეძლო. რუსეთის ნაკრებიდან ასაკის გამო დაითხოვეს, თორემ ახლაც აჯობებს სუვერელას.

ზულში ნინომ იუნიორთა მსოფლიო რეკორდი დაამყარა, უფროს თანაგუნდელებთან ერთად კი ისეთ შედეგს მიაღწია, იგი ძალიან დიდხანს იყო მსოფლიო რეკორდების გრაფაში.

...სროლის დროს ნინოსთან არასდროს მივდივარ. წინასწარ ვარიგებ, ან ვეთათბირები, რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, როგორ მოიქცეს... 1984 წელს ეშერაში ესტონეთის გუნდი ჩამოვიდა, მატჩი უნდა გაგვემართა. ნინოს პნევმატური პისტოლეტის ვაზნები მივეცი, პულკებს რომ ეძახიან და ვუთხარი, — ეს პულკები უნდა ვისროლოთ მოსწავლეთა სპარტაკიადაზე და აბა, შენ იცი, კარგად გასინჯე-მეტქი. ნინოს შეჯიბრება დაავიწყდა და სროლისას მთელი გულით იმ პულკებს „ამონმებდა“ და 15 წლის გოგომ 388 ქულა აიღო. დიდების რამდენი ჩემპიონატი ყოფილა, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონატი, ამაზე ნაკლები შედეგით რომ მოუგიათ.

1986 წელს, ხალხთა საკავშირო სპარტაკიადაზე, ჩვენმა ორივე სპორტსმენმა — ნინომ და მეგი ხუბულაშვილმა ძალიან კარგად დაიწყეს სროლა, მეგიმ — უფრო უკეთესად, მაგრამ მესამე სერიაში. ორივემ მხოლოდ 93-93 ქულა მოაგროვა. ეს აშკარა ჩავარდნა იყო. იმ სერიის შემდეგ ნინო გამოვიდა და მითხრა, — რა ვქნა, არაფერი არ გამომდისო. ხმა უკანკალებდა, მაგრად ციოდა მაშინ მოსკოვში. ვუთხარი, ჯანდაბას მეოთხე სერია, გინდაც ნუ გისროლია, სულ არ მენაღლება-მეტქი. თან ყინულივით ცივი ხელები დაფუსრისე. წავიდა ნინო და მეოთხე სერიაში 98 ქულა მოაგროვა, მეგიმ კი მხოლოდ 91, თუმცა ფინალში



ისიც მოხვდა. ფინალში მხოლოდ საქართველოს გუნდს ჰყავდა ორი სპორტსმენი და ჩემპიონები ვერ გაგხდით იმის გამო, რომ გუნდური პირველობა არ ტარდებოდა...

ადრე, სანამ პატარა იყო, ნინოსთან ყველაფერი გამდიოდა, ახლა ძველი „ფოკუსები“ აღარ ჭრის, ამხელა გამოცდილება დაუგროვდა და შეიძლება გააღიზიანოს კიდევ ზედმეტმა ჩიჩინმა. ისე, სპორტსმენი რაც არ უნდა გამოცდილი იყოს, საჭირო დროს საჭირო სიტყვა აუცილებლად უნდა მიაშველო. ხანდახან ნინოსაც სჭირდება რჩევა. სროლაში ახალს რას გამოიგონებ, მაგრამ საჭიროა დროულად გაამახვილო ყურადღება შეჯიბრების ამა თუ იმ კომპონენტზე.

...სეულის ოლიმპიადის შემდეგ სამიზნე ფარები შეიცვალა და მინსკელი ლოლიტა ცვეტკოვას პირველსავე ოფიციალურ ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგი — სულ რაღაც 578 ქულა, მსოფლიო რეკორდად ჩაითვალა. შემდეგ 585 ქულა დაფიქსირდა, მერე კი ნინომ ერთიმეორეს მიაყოლა მსოფლიო რეკორდები: ჯერ 588, შემდეგ — 589 და ბოლოს — 591... ზაგრებში, ევროპის 1990 წლის ჩემპიონატზე, უნგრელმა ვარგაშმა ამაზე უკეთ ისროლა და 592 ქულა გააკეთა. მაგრამ ჩვენ წაგებას არ ვაპირებდით, გამოვიდა ნინო და 593 აჩვენა — 295 პლუს 298 სილუეტზე. ადრე, ვინც ფინალს იგებდა, ის ყო ჩემპიონი, დღეს კი თანაბარი ქულების დროს დამატებითი სროლა ინიშნება. ნინო მსოფლიო რეკორდით გახდა ევროპის ჩემპიონი. რეკორდების აღრიცხვის ახალი სისტემა რომ არ შემოეღოთ, ნინოს ის რეკორდი, ისევე როგორც სეულში ნაჩვენები შედეგები, დარწმუნებული ვარ, ახლაც რეკორდები იქნებოდა. მაშინ ფინალში ათიანის ცენტრში უკეთ მოხვედრებისთვის კოეფიციენტს არ უმატებდნენ. ახლა შეიძლება 10 გასროლით 104-105 ქულაც მოაგროვო.

* * *

ნინო სალუქვაძემ ოლიმპიურ წელსაც მოიგო ყველა შესარჩევი ასპარეზობა, რაც კი სეულის თამაშებს უკავშირდებოდა. ნინოს და მარინა დობრანჩევას უყოფმანოდ მისცეს სამხრეთ კორეის საგზური. გუნდში სვეტლანა სმირნოვაც ჩართეს იმ ანგარიშით, რომ თუ ნინო პირველ დისციპლინაში ცუდად ისროდა, მეორეში მას სმირნოვა შეცვლიდა, მაგრამ ლენინგრადელი მსროლელი სეულში უსაქმოდ დარჩა.

ჯერ ეშერაში ემზადებოდნენ, სეულის წინ ბოლო საწვრთნელი შეკრება კი მოსკოვში ჰქონდათ. ძირითადი იმედი მარინა დობრანჩევას უკავშირდებოდა, ნინო ჯერ ისევ იუნიორის ასაკისა იყო — 19 წლისა. ფიქრობდა თუ არა გამარჯვებაზე?

ნინო სალუქვაძე: „გამარჯვებაზე წინასწარ არასოდეს მიფიქრია. ჩემი მთავარი ორიენტირი ჩემი შედეგები იყო. სეულშიც მხოლოდ შედეგზე ვფიქრობდი, რა თქმა უნდა, მაღალ შედეგზე... საქმე ისე მიმდიოდა, რომ წესით, თუ გაუთვალისწინებელი მომენტები გამოირიცხებოდა, ოლიმპიადა წარმატებით უნდა დამესრულებინა. საბჭოთა დელეგაციის ერთმა წარმომა ხაბაროვსკში გაიარა აკლიმატიზაცია, მსროლელები კი სეულში ადრევე ჩავედით და კარგად შევეგუეთ იქაურ პირობებს. ვიდრე უშუალოდ შეჯიბრება დაინყებოდა, ვარჯიშისგან თავისუფალ დროს ქალაქში დავდიოდით და თუ საბჭოთა ფორმა გვეცვა, უმაღვხვდებოდით იქაური გულშემატკიცრებისა და... უშიშროების სამსახურის ყურადღების ცენტრში.“

ვახტანგ სალუქვაძე: „ვინც წინასწარ და გამუდმებით ფიქრობს გამარჯვებაზე, უნებლიერ ამ ფიქრის მძევალი ხდება და რაგინდ კარგად არ უნდა იყოს მომზადებული, მაინც მარცხდება. საერთოდ, როცა ნინო ფორმაში იყო, ჩვენ მუდამ ორ ოქროს მედალი გვინდოდა. სეულის წინაც ვიცოდი, რომ მოვალე სახეობის მოგება შეეძლო. ოლიმპიადამდე, ლენინგრადში რომ ისროდა, მოვიდა და მითხრა, რა ვქნა, ყველა ტყვია ათიანში მიდის, ერთი განგებ ხომ არ დავაცილოო. გავაფრთხილე, ათიანების რიტმიდან არ ამოვარდე-მეთქი.“

...სეულის ოლიმპიურ სასროლეთზე შეჯიბრებას ბინოკლით ვუცქერდი. ჯერ სულ ათიანები წავიდა, სამი სერია — 50, 50 და 50. მერე სამჯერ — 49-49 ქულა (მოგვიანებით მომიპოდიშა კიდეც, ერთ-ერთი ცდის დროს ხელი დაბლა დროულად არ ჩამოვილე და იმიტომ გამოვიდა ცხრიანიო). წინ იყო შეჯიბრების მეორე წახევარი, ანუ სილუეტებზე სროლა, რაც წინოს უკეთესად გამოსდიოდა. ეტყობა, ყურადღება მოუდუნდა და ასეთმა განწყობამ ცუდი სამსახური გაუწია — სილუეტებზე სულ 294 ქულა აიღო. ამასობაში, სეკარიჩი წამოეწია და ფინალის წინ ორივეს თანაბარი ქულები ჰქონდათ — 591-591, რაც უკვე ოლიმპიური რეკორდი იყო. ფინალამდე მე და შოთა ქველიაშვილმა ნინო გავასეირნეთ, იმ საქმაოდ ცუდი სერიების შემდეგ მის გახალისებას გცდილობდით... ნინომ ფინალში 99 ქულა მოაგროვა და გაიმარჯვა. სეკარიჩს ალარაფერი გამოუვიდა,



მხოლოდ 95 ქულა გააკეთა და მესამე ადგილზე გადაინაცვლა, რადგან მას იაბონელმა სპორტსმენმაც გაუსწრო, რომელსაც ფინალში ნინოსავით 99 ქულა ჰქონდა.

პნევმატური პისტოლეტით სროლის ძირითადი სერიები ნინომ ახალი მსოფლიო რეკორდით დაამთავრა—390 ქულა აიღო, მაგრამ ფინალში როლები შეიცვალა. სეკარიჩი უფრო უკეთესად გამოიყურებოდა... და ნინო მეორე ადგილზე დარჩა, ფინალის ჩათვლით 487,9 ქულა დაუგროვდა. როცა შეჯიბრების შემდეგ ვუსაყვედურე, ტირილი აუვარდა — აბა, იქ თვითონ დადექი და ყველაფერზე იფიქრე, ნახავ რაც გამოგივაო...“

იასნა სეკარიჩის გაქვავებულ სახეზე კი, ფინალის შემდეგ, ემოციის ნატამალს ვერ ამოიკითხავდით — ბოლომდე დაეხარჯა მთელი ძალ-ღონე.

ახლა შემოგთავაზებთ ერთ ფრაგმენტს სეულის ოლიმპიადაზე აკრედიტებული გახეთ „ლელოს“ „რედაქტორის თენიგით გაჩერილაძის იმდროინდელი წერილიდან:

„საქართველოდან თამაშებზე ჩასული სპორტული ხელმძღვანელები ნინოს გამოსვლის წინა დღეს სასატუმროში დაუკავშირდნენ ვახტანგ სალუქვაძეს, ჰეითხეს, შეიძლებოდა თუ არა მისულიყვნენ ნინოსთან შეჯიბრების დაწყებამდე. ვახტანგმა, როგორც წარსულში ცნობილმა მსროლელმა და ამჟამად ნინოს მწვრთნელმა, ცხადია, კარგად იცის ყველა ნიუანსი, ასევე ჩინებულად იცნობს შვილის ფსიქოლოგიას. მან თქვა, რომ აჯობებდა ჩვენები ნინოს არ შეხვედროდნენ...“

ჩვენებს არც მაშინ „შეუშლიათ ხელი“ ნინოსთვის, როცა ის მეორედ ჩაება ოლიმპიური ჯილდოსთვის ბრძოლაში. უჩუმრად ისევ ტრიბუნიდან ვადევნებდით თვალს მისა ასპარეზობას... ნინო უკვე ოლიმპიური ჩემპიონის რანგში ჩაება ახალ პაექტორობაში — ამჯერად პნევმატური პისტოლეტით სროლაში უნდა დაეცვა საბჭოთა ნაკრების ღირსება. გასაკვირი არ არის, რომ იგი იმ დღეს ყურადღების ცენტრში იყო. ნინო ცდილობდა კვლავ დინჯად, „გარემოსაგან მოწყვეტით“ ევლო მიზნისკენ და აი, ახალი სიხარული, — წინასწარ შეჯიბრებაში ქართველმა სპორტსმენმა 390 ქულა მოაგროვა, ეს კი ახალი მსოფლიო რეკორდი იყო. მერე კი, მერე... ერთ-ერთ ინტერვიუში ნინომ თქვა: „ჩვეულების წინააღმდეგ, ჩემი მთავარი მეტოქის, იუგოსლავიელი იასნა სეკარიჩის შედეგით დავინტერესდი. გავიგე, ერთი ქულით ჩამომრჩებოდა და დაძაბული ბრძოლისათვის მოვემზადე.“

ნინოს გამარჯვების
ფორმულა: ორბის თვალი
და ფოლადის გამძლე-
ობა, ოღონდ, არავითარ
შემთხვევაში — რეინის
გული. რეინ და ფოლადი,
კარგია, მაგრამ გრძნობა
და ემოცია — უფრო სა-
ჭირო. ჩვენ რომ ტყვიის
სროლა „ციცელიანთა“
სპორტი გვეგონა, საქმე,
თურმე, სხვაგვარად ყო-
ფილა. ნინო სალუქაძე
ამბობს: „იმ უკადურესს
დაძაბულობისა და პასუ-
ხისმგებლობის მომენტშიც
კი, როცა გამარჯვების
ბედი ერთადერთ ანუ ბი-
ლო გასროლაზე ჰკიდია,
როცა თვალი და გონება
ერთ წერტილს მისჩერებია
და იმ მომენტშიც იმ წერტი-
ლის გარდა ქვეყნაზე სხვა
არაფერი არ არსებობს,
გონება გულს ეთაობირება
და გადაწყვეტილებას ამის
შემდეგ დებულობს
— „ისროლე!“



არ შეიძლება ფინალში ბრძოლისათვის ემზადო, უნდა ისროლო შენი შედეგის მისაღწევად და მორჩა... ამიტომ ფინალში ძალიან ვლელავდი და ტყვია რამდენ-ჯერმე ასცდა ათანბს...“ (ჟურნალი „მართვე“, 1988).

ნინო სალუქვაძე: „ოლიმპიური ჩემპიონი რომ გავხდი, ისევ იუნიორი ვი-ყავი, 19 წლისა... სპორტულ პისტოლეტში იასნა სეკარიჩის მესამე ადგილი მო-ულოდნელი იყო. იაპონელმა სეკარიჩს ფინალში მთელი 5 ქულა ამოუქაჩა და მეორე ადგილზე ის გავიდა. მერე იასნა გასახდელში ვნახე, მნარედ ტიროდა... პნევმატურ იარალში კი მან მომიგო. მაინცდამაინც არ დამწყვეტია გული, სა-მართლიანად მოხდა ყველაფერი. დასანანი ის გახლდათ, რომ ძირითადი სერი-ები მსოფლიო რეკორდით დავამთავრე და საბოლოოდ მაინც მეორე ადგილზე გავედი... რა იყო ჩემთვის ოლიმპიადა და გამარჯვება? ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი სიხარული, უკეთესი არ არსებობდა. მაშინ სხვა შეგრძნება მქონდა, გან-საკუთრებული და სხვანაირად ამაღლებული. მანამდე რამდენი წვალება გამო-ვიარე, მაგრამ ოლიმპიური ოქროს მედალი ყველაფერს ანაზღაურებს და ასმაგ ენერგიას გმატებს. როცა ის დრო მახსენდება, კარგ განწყობაზე ვდგები. სპორ-ტში არაერთი მეგობარი შევიძინე. მაგალითად — იასნა სეკარიჩი. სხვათა შო-რის, პირველ დღეს, როცა ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი, სეკარიჩი არ მოსულა და არ მოულოცავს. არადა, მანამდე, სხვა შეჯიბრებებზე პირველი მილოცავდა ხოლმე, მეც იგივეს ვაკეთებდი. მერე მომიბოდიშა — სულ გავითიშე და უნდა მაპატიოო. იასნას მაღლ დავუმეგობრდი, საბჭოთა ნაკრების წევრებთანაც კარ-გი დამოკიდებულება მქონდა. ისინი ხშირად იცვლებოდნენ, სხვადასხვა ასაკის, ეროვნებისა და ხასიათის სპორტსმენებთან მინევდა ურთიერთობა... არც ერ-თთან არ მომსვლია კონფლიქტი, თუმცა საკავშირო ნაკრებში ყოველთვის მწვა-ვე მეტოქეობა იყო — ვერ გაიგებდი, რომელი სპორტსმენი ვისი ფავორიტი იყო. ნაკრებში ინტრიგებს ერიდე და შენს საქმეზე იფიქრე — მამაც სულ ამას მარი-გებდა. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და სხვანაც, დღეს ძირითადად ისინი არიან მწვრთნელები, ვისთანაც ერთად ვისროდი. ყველასთან შემიძლია მისვლა და ხელის ჩამორთმევა. როგორც წესი, ქართულად მესალმებიან, ალბათ, პატი-ვისცემის ნიშნად...“

ნინოს იარალის მნარმოებელი ფირმების წარმომადგენლებთანაც კარგი ურთიერთობა აქვს. ასეთ სახელოვან მსროლელს, ცხადია, განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან. „ვალტერი,“ „მორანი,“ „შტაიერი,“ „ბინელი,“ „პარ-



დინი, „ფაინვერბაუ,“ რომელიც რაზარიონოვის მოდელზეა გაკეთებული, სიამოვნებით სთავაზობენ თავიანთ იარაღს. სულ ბოლოს, „ფაინვერბაუ“ აჩუქეს გერმანელებმა, ფოსტით გამოუგზავნეს. ადრე, საჭიროა პერიოდში უცხოურ ფირმებთან კონტრაქტები მსროლელებისთვის კაბალური იყო. კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის უმეტესი ნაწილი — 60 პროცენტი სახელმწიფოს რჩებოდა, 20 — საკაგმირო სპორტურმიტეტს, 10 — სროლის ფედერაციას, დარჩენილი 10 პროცენტი კი — თავად სპორტსმენს.

* * *

ნინოს იარალის საქმე თითქმის ყოველთვის კარგად ჰქონდა, მაგრამ იყო გამონაკლისი შემთხვევებიც. 1996 წელს, შევიცარიაში პნევმატურ იარაღში მსოფლიოს სუპერთასის გათამამების დროს შეჯიბრების ლიდერი იყო, მაგრამ მსაჯების დაუდევრობით მეოთხე სერია ნაადრევად შეწყდა. გამოსავალი ის მონახეს, რომ ყველაფერი თავიდან — პირველი სერიიდან დაიწყეს. ნინოს პისტოლეტმა რამდენჯერმე უმტყუნა და... პირველის ნაცვლად ბოლო ადგილი დაიკავა. შემდეგ პნევმატურ ბისტოლეტს „შტაუერ მანლიპერის“ ფირმისას არჩევდა. ეს ფირმა დიდად ეხმარებოდა ჩვენს მსროლელებს. 1995 წელს, როცა საქართველოს გუნდი ფინეთში, ევროპის ჩემპიონატზე მიემგზავრებოდა, რუსებმა ვიბორგში პისტოლეტები არ გაატანეს. „მანლიპერის“ წარმომადგენლები ჩვენებს ჰელსინკში დახვდნენ და ახალთახალი პისტოლეტები გადასცეს, შეჯიბრების შემდეგ კი ორი პისტოლეტი საჩუქრად დაუტოვეს. ნინოს თხოვნით, შემდეგ მათ ხუთჭიდელ ვახტანგ იგორაშვილსაც აჩუქეს იარაღი. „შტაუერ მანლიპერი,“ ნინოს თქმით, ულალატოდ ისროდა.

სამიზნე ფარების შეცვლა ხშირად ინვეს იარალის ცვლასაც და ფირმები ახალ-ახალ მოდელებს ქმნიან. ნინო მცირეკალიბრიან პისტოლეტს „ბენცის“ ფირმისას იყენებდა. იმით ერთხელ ევროპის ჩემპიონატი მოიგო, ორჯერ — მსოფლიო თასი. შემდეგ შვეიცარიულ „მორანზე“ გადავიდა, მაგრამ ამ პისტოლეტმა ნინოს სწორედ დიდ მსოფლიო ჩემპიონატზე, ლაპტიში უმტყუნა — ნემსი გაუტყდა და ნინო ფინალს მიღმა დარჩა. პნევმატურში კი „შტაუერ მანლიპერით“ ვერცხლის მედალი დაიმსახურა. დღეს ნინო ტყვიას ისევ რაზარიონოვის მიერ შექმნილი პისტოლეტით ისვრის, რომელსაც უკვე „ფაინვერბაუ“ ანარმოებს.

ოლიმპიურ 1988 წელს სპორტულმა უურნალისტებმა ნინო სალუქვაძე საქართველოს ნლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. რა თქმა უნდა, ნინოს ლაურეატობა ეჭვს არ იწვევდა. სხვა რომ არაფერი, პირველად მოხდა, როცა ქართველმა სპორტსმენმა ერთ ოლიმპიადაზე პირად პირველობაში ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

„პისტოლეტი ნინო სალუქვაძის ერთადერთი იარაღი როდია. როცა 19 წლის ხარ, ხარ მოხდენილი, სიმპათიური, ამასთან, ჩინებული დიასახლისიც — შენი ბინის იატაკი სარკის მაგივრობას გასწევს, კერძების გაკეთებაც იცი, ცხობაც, კერვაც და ქარგვაც კი, — ცოტა მამაკაცი თუ მოიძებნება ისეთი, ვინც ხელებს არ ასწევს, თუკი მას მიზანში ამოიღეს, თუნდაც ოლიმპიური ჩემპიონი არ იყო. ვჩერა დავარწმუნო მკითხველები იმაში, რომ საქართველოს სპორტული უურნალისტები — მათს აბსოლუტურ უმრავლესობას კი მამაკაცები შეადგენენ — ნინო სალუქვაძეს 1988 წლის 1 სპორტსმენად როცა ასახელებდნენ, მხოლოდ და მხოლოდ მის სპორტულ შედეგებს არ მიაგებდნენ ჯეროვანს... როცა დაისვა კითხვა, ვინ უნდა მისულიყო ნინოსთან მისალოცად, ჩემმა კოლეგა მამაკაცებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ეს ქალს უნდა გაეკეთებინა...“ (პეპი ბოჭორიშვილი. გაზეთი „სამშობლო“. 1989).

ნინოს ოლიმპიურ გამარჯვებას ასე გამოეხმაურა პოეტი ზაურ ბოლქვაძე: „რომ გვყოლოდა ასი ნინო ძეველად ასი პისტოლეტით, მაშინ თავისუფლების-თვის თავისუფლად ვიბრძოლებდით.“

ნინო სალუქვაძე: „სეულის ოლიმპიადის წინ დიდებში სხვა ტიტული არ მქონდა, გარდა გუნდური პირველი ადგილისა მსოფლიო ჩემპიონატზე და პირადი ბრინჯაოს მედლისა. ჩემს შემთხვევაში პირიქით მოხდა: ჯერ ოლიმპიადა მოვიგე, შემდეგ — მსოფლიოს ჩემპიონატი, ბოლოს — ევროპის. მაგრამ თუკი კონტინენტის ჩემპიონატი ყოველ წელს ტარდება, მსოფლიოსი — მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ. ოლიმპიადა კი მაინც სხვაა, პრესტიულ ყველას აღემატება და მონაწილეც უფრო მეტია.

...1989 წელს სარაევოს მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსკოვთან ახლოს, ნოვოგორსკში ვემზადებოდით. პნევმატური იარაღით სროლაში ეს შეჯიბრება მაშინ ორ წელიწადში ერთხელ იმართებოდა. ძალიან ციონდა ნოვოგორსკში, სასტუმროს ნომერში ანთებულ ღუმელს მახვედრებდნენ. გარჯიშებზე თაგს ვიკლავდი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. კიდევ კარგი, საკონტროლო შეჯიბრე-



ბა მაინც გავიარე და სარაევოს საგზური ავიღე. შეჯიბრებაზე არასასიამოვნო განწყობით ჩავედი. რალაცნაირად შებოჭიდლი ვიყავი. ახალგაზრდული ნაკრების მნვრთნელი მოვიდა, რატნიკოვი — რა გემართება, დაშვიდდი, რაც იყო, დაივიწყე და ნულიდან დაწყე ყველაფერიო. ოლიმპიადას გულისხმობდა. სარაევოში ცუდ პირობებში ვისროდით — ფარები ცუდად იყო განათებული, თუმცა ფინალისთვის ეს პრობლემა მოაგვარეს. ფინალში თითქმის თანაბარი შედეგებით გავედით რვა სპორტსმენი. პირველსა და ბოლო ადგილზე მყოფებს შორის ქულებში განსხვავება დიდი არ იყო...“

აქ ისევ მაშინდელი ქრონიკა უნდა მოვიყვანო გაზეთ „ლელოდან“:

„სარაევოში წარმოუდგენელი ამბები მოხდა. ფინალის ბოლო ათი გასროლის წინ წინ და გფრ-ის გუნდის წევრი ლიზელოტა ბრეიკერი ოთხი ქულის სხვაობით (385-385 ქულა ჰერნდათ) ასწრებდნენ მეტოქეებს. მასპინძელთა კერპს, იუგოსლავიელ ოლიმპიურ ჩემპიონს იასნა სეკარიჩს ამ დროს სატურნირო გრაფაში VII ადგილი ეკავა და მხოლოდ 381 ქულა ენერა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბრინჯაოს მედალზე მეტის იმედი არ უნდა ჰერნდა.“

მაგრამ ზოგჯერ შეუძლებელი შესაძლებელი ყოფილა... სეკარიჩი ყველა მეტოქეზე სწრაფად ისვრის, ასეთი ჩვევა აქვს. გაისვრის, მაშინვე მქუსარე ოვაცია ატყდება (მონაწილეთა უკან ტელევიზორია და ტაბლოზე შედეგები ჩანს). ამ ხმაურმა, მსროლელთა საშიშმა მტერმა, უმაღლ მწყობრიდან გამოიყვანა შეჯიბრების მონაწილეები. ბრეიკერმა, მაგალითად, ექვსიანში „ჩასვა“ ერთი ტყვია, მისმა თანაგუნდელმა — ერთიანში (?!).

არ შედრკა მხოლოდ ყველაზე ახალგაზრდა ფინალისტი — წინო სალუქვაძე. „იყვირეთ, იყვირეთ რამდენიც გინდათ,“ - თაქს იმხნევებდა იგი და ტყვიას ტყვიაზე ჯოუტად სვამდა ათიანებში. ფინალში სეკარიჩმა 102,7 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. წინომაც ფინალში თითქმის იგივე შეძლო — 102,5 ქულა და რევანში აიღო სეულის ოლიმპიადაზე დამარცხებისთვის, სადაც იგი იუგოსლავიელს სწორედ ამ იარაღში ჩამორჩა. ოლონდ ამჯერად სხვაობა ქულანახევარი კი არა, თითქმის მთელი 4 ქულა იყო (487,5-483,7)...“

ეს იყო წინო სალუქვაძის პირველი ოქრო მსოფლიოს პირად ჩემპიონატზე. იმ წელს წინომ წარმატებით იასპარეზა სხვა მნიშვნელოვან ტურნირებში და როცა გაზიარდა „ლელომ“ 1989 წლის შედეგები შეაჯამა, სალუქვაძეს საუკეთესო შედეგები აღმოაჩნდა:



ნინო სალუქევაძე
საქართველოს სპორტსმენიდან ერთადერთია,
ვინც ექვს ოლიმპიურ
თამაშებში მონაწილეობდა
— სუულიდან პეკინამდე
და მედლების სრული კომპლექტი (იური, ევროპული,
ბრინჯაო) დაუგროვდა.
მოკლედ, რეპორტების
ნიგნის საადრის მიღწევები აქვს, მით უფრო,
რომ პირველი ოლიმპიური
მედლის მოპოვებიდან
20 წლის შემდეგაც
შეძლო ასულიყო სპორტში
გველაზე საპატიო
კვარცხლბეჭის.



მაისი. არმიელთა ჩემპიონატი. სამი პირველი და ერთი მეორე ადგილი.

მაისი. ზული. (გდრ). მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი. პირველი ადგილი და ორი მსოფლიო რეკორდი მპ-5 ვარჯიშში (მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლა). 592 ქულა ძირითად სერიებში და 691 — ფინალის შედეგთან ერთად. მეორე ადგილზე გასული ცნობილი უნგრელი მსროლელი აგნეშა ფერენცი მას მთელი რვა ქულით (!) ჩამორჩა. იქვე, ზულში ნინომ მეორე ადგილი დაიკავა პნევმატური პისტოლეტით სროლაში (პპ-2).

ივნისი. მიუნხენი. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი. I ადგილი მპ-5 ვარჯიშში (მეორე ადგილზე გასულს ნინომ აქაც 6 თუ 7 ქულით მოუგო), II ადგილი პნევმატური პისტოლეტის სროლაში. აქ გაიმარჯვა სეკარიჩმა, რომელმაც ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 390 ქულა ძირითად სერიებში.

ივნისი. სსრკ ჩემპიონატი. მინსკი. ოთხი ოქროს მედალი (ორი — გუნდურ პირველობაში). მინსკში მეტოქებმა ძალიან მოინდომეს ბრძოლა გაემართათ გუნდის ლიდერისთვის, მაგრამ...

ივნისი. ევროპის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ზაგრები. პირველი ადგილი... ნინო ფინალში 593 ქულით შევიდა. უნგრელ აგნეშა ფერენცის ერთი ქულით ნაკლები ჰქონდა. შესანიშნავ ფორმაში მყოფმა ფერენცმა, რომელიც ნინოზე წინ ისროდა, ფინალში ყველა ტყვია ათიანებში ჩამორჩრივა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 692 ქულა. ნინოს იმის უფლებაც აღარ დარჩა, ცხრანში მოხვედრებინა ტყვია, თორემ ჩემპიონობას კარგავდა. მართლაც საკვირველი ამბავი მოხდა — ფერენცის რეკორდი უდღეული გამოდგა: ნინომაც ყველა ტყვია ათიანს უსწორა. ყოველი გასროლის შემდეგ მის ზურგს უკან თავმოყრილი მეტოქების, მათ შორის სეკარიჩის ოვაცია ესმოდა („კაკ მოუნო ტაკ სტრელიატ;“ — აღმოხდა ნინოს თანაგუნდელ ელენე სმირნოვას). 693 ქულა მსოფლიო რეკორდების ნუსხაში შევიდა და ნინო სალუქვაძეს, ეს უკვე მერამდენედ, ევროპის ჩემპიონის მედალი გადაეცა.

ივლისი. IV საკავშირო ახალგაზრდული თამაშები. ლვოვი. ორი ოქროს მედალი.

...ნინომ და ვახტანგმა არ დაიზარეს და საქართველოს გუნდის დასახმარებლად ლვოვში ჩავიდნენ. იქ ნინო თავისუფლად, ხალისიანად ისროდა. მისი ოსტატობა დიდი მონდომების გარეშეც საქმარისი იყო მეტოქების დასამარცხებლად.

ნინო სალუქარება: „ზაგრებში უკვე შეცვლილ ფარებზე ვისროდით, სულ თითო მიღიმეტრით იყო დაპატარავებული, მაგრამ სხვაობა მაინც იგრძნობოდა. რა თქმა უნდა, იმ დროიდან უკვე ახალი რეკორდების აღნუსხვა დაწყეს. იმ წლის ბოლოს მსოფლიო რეკორდი მე მეკუთვნოდა — 593 ქულა. ეს შედეგი დღემდე მსოფლიო რეკორდია ახალგაზრდებში, დიდების ჩვენი მაშინდელი გუნდური რეკორდი კი ასევე მოუხსნელია... ზაგრებში გამარჯვებისთვის პრემია მომცეს - მთელი 700 დოლარი. მაშინდელ დინარებზე ეს 20 მილიონი იყო. უცბად მილიონერი გავხდი. საყიდლებზე მხოლოდ ერთი დღე მქონდა და მთლიანად მივახარჯე, მით უმეტეს, საბჭოთა კავშირში არაფერი იშოვებოდა.“

* * *

1990 წელს მსოფლიო ჩემპიონატს მიტიშჩის სასროლეთმა უმასპინძლა. ამ შეჯიბრებისთვის ნინო სათანადოდ ვერ მოემზადა, სპორტული ფორმა ვერ აღიდგინა და შედეგიც შესაბამისი გამოდგა: პნევმატური იარაღით სროლისას ერთი ტყვია შვიდიანს მოარტყა და ფინალში ვერაფერი გააწყო, სპორტული პისტოლეტით სროლაში ასევე ფინალში მოხვდა, მაგრამ საპრიზო ადგილს მიღმა დარჩა.

მომდევნო 1991 წელს საქართველო საბჭოთა სპორტს გაემიჯნა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ამბავი ნინომ მაშინ გაიგო, როცა ნორვეგის მსოფლიო ჩემპიონატიდან ბრუნდებოდა. იმ წელს საბჭოთა გუნდმა და მასთან ერთად ნინო სალუქარება მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა პნევმატური იარაღით სროლაში. ეს იყო ნინოს ბოლო ჯილდო საბჭოთა დროშით. მოსკოვში დაბრუნებული საკავშირო ნაკრები მსოფლიო თასის გათამაშებაზე სულში უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ ნინოს აეროპორტში დახვდა სპორტკომიტეტის წარმომადგენელი ვადიმ კარავაევი და სიტუაცია განუმარტა — ჩვენი გზები საბოლოოდ გაიყარა, თქვენ უკვე დამოუკიდებლები ხართო. ნინოს მაშინ სპორტზე არც უფიქრია. ტელეფონს ეცა სახლში დასარეკად. ვიდრე ვითარება გაირკვეოდა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან დამოუკიდებელი ურთიერთობა დამყარდებოდა, საკმაო დრო გავიდა. ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონის გადაპირება არაერთმა ქეყანამ მოინდობა, მაგრამ ნინო ყველას თავაზიანი უარით ისტუმრებდა



ვახტანგ სალუქვაძე: „იმ ერთი წლის იძულებითმა შესვენებამ ძალიან იმოქმედა ნინოზე. 1992 წელს, როცა ისევ დაგვიშვეს საერთაშორისო შეჯიბრებზე, ნინო ძველებურად თავდაჯერებული აღარ იყო. დიდხანს ვერ აღიდგინა საკუთარი ძალების რჩმენა. ბარსელონაში, ოლიმპიადაზე ბოლო სერიაში სულ რაღაც 95 ქულა რომ გაეცეთებინა, — არადა, მისთვის 98-99 ქულა არაფერი იყო, — ვერცხლის მედალს აიღებდა.“

ბარსელონის ილიმპიადის წინ, სადაც საქართველოს სპორტსმენები დასტაგაერთიანებული გუნდის სახელით, მაგრამ საკუთარი დროშითა და ჰიმნით გა-

ოლიმპიური კვარცხლბეჭერი:
ნატალია პადერინა,
ვენის გუო და
ნინო სალუქვაძე,
პეტიონი, 2008 წელი

მოდიოდნენ, ნინო ზედიზედ რამდენიმე შესარჩევ ტურნირში მონაწილეობდა, რამაც დიდი ენერგია ნაიღო. მთავარი შესარჩევი შეჯიბრება იყო დსთ-ს ჩემპიონატი, რომელიც მოსკოვში ჩატარდა. სპორტული პისტოლეტით სროლაში ნინომ ორივე ვარჯიში მოიგო, მერე კი „სოვეტსკი პატრიოტის“ პრიზზეც იგივე შედეგი აჩვენა.

ნინო სალუქვაძე: „ბარსელონაში სრულიად გამოფიტული გავემგზავრე. დარწმუნებული არ ვიყავი, რომ კარგ შედეგებს მივაღწევდი. ასეც მოხდა. სპორტული პისტოლეტით მეხუთე ადგილი ავიღე, პნევმატურით კი ფინალშიც ვერ მოვხვდი და მეთე ადგილზე დავრჩი. ეს ჩემთვის ჩავარდნა იყო. საერთოდ, ამ ოლიმპიადაზე უცნაურ განწყობაზე ვიყავი, რალაც გაორებული გრძნიპა მქონდა, თითქოს არასერიოზულ საქმეს ვაკეთებდი. გარდამავალი პერიოდი იყო — თან ისევ ერთად ვიყავით, ძველი საბჭოთა კავშირი, თანაც უკვე დამოუკიდებლები... მართლაც არასერიოზულის შთაბეჭდილებას ტოვებდა ეს ყველაფერი და მეც ასე აღვიქვი.“

* * *

ნინომ სულ 6 ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა. მისი ნიჭისა და ოსტატობის კვალობაზე, თუნდაც ოლიმპიური მედლებს ერთი სრული კომპლექტი მაინც ცოტაა. ატლანტის ოლიმპიადისთვის, სადაც საქართველო უკვე სრული დამოუკიდებელი გუნდის სტატუსით უნდა წარმდგარიყო, მსროლელები გერმანიაში ემზადებოდნენ. მასპინძლებმა თავი გამოიდეს: როგორც ოლიმპიადის დასკვნით შეკრებაზე, ასევე ცოტა ადრე გამართულ საწვრთნელ შეკრებაზე, საქართველოს გუნდს შესანიშნავი მასპინძლობა გაუწიეს: ორი კვირით უფასოდ დაუთმეს ბაზა, საცურაო აუზი, საუნა, ვაზნებითაც დაეხმარნენ. შემდეგ გერმანიის გუნდთან ერთად წაიყვანეს მიუნხენში, მსოფლიო თასზე, იქიდან კი იტალიაში — ისევ თასის გათამაშებაზე. იტალიიდან ფრანკფურტამდეც უფასოდ გამოამგზავრეს... საქართველოში მაშინ რთული ვითარება იყო და სპორტისთვის ნაკლებად ეცალათ. ამიტომაც, კარსმომდგარი ოლიმპიადის წინ გერმანელთა დახმარება ძალზე მნიშვნელოვანი გამოდგა. ამერიკაში ჩასულმა ნინო სალუქვაძემ 386 ქულით წინაოლიმპიური კვირეული მოიგო პნევმატური იარაღით სროლაში. რეიტინგითაც სიის სათავეში იდგა.



ზოგჯერ შეგნებულად არ აჩვენებდა თავის მზადყოფნას, რომ ზედმეტი ყურადღება არ მიექცია. ატლანტის სასროლეთზე, უკვე ოლიმპიური თამაშების ფინალში, სპორტული პისტოლეტით სროლაში მეორე შედეგით მოხვდა — 586 ქულა აილო, მაგრამ... ნინო სალუქვაძე: „ფინალში თითქოს მშვიდად ვიყავი, რადგან მესამე ადგილზე მყოფს გვარიანად ვუსწრებდი. ფინალი დავიწყე ათანით, მეორე გასროლა და... შვიდიანი?! თითქოს ურო ჩამარტყეს თავში (მეც დაახლოებით იგივე დამემართა, როცა ატლანტაში მონიტორს ვიყავი მიშტერებული - გ.ჩ.). მესამე ტყვიამ რვიანის ხაზი გადაკვეთა. მაინც რა მოხდა? ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ, ამერიკაში, სამიზნე დაფა შემიცვალეს და ის ჩემი ნასროლი არ იყო. საოლიმპიადოდ ატლანტაში ახალი დანადგარები დაამონტაჟეს, შვეიცარული „ასკორის“ ფირმისა. სერიოზული შემოწმება არც ჰქონდა გავლილი. ქაღალდის უკან, რეზინის ფენა არ იყო დაზიანებული, ნასროლი კი ჩანდა. ჩემს გარდა, სხვებმაც გამოთქვეს პროტესტი და მერელა დაიწყეს ეკანის დაყენება სამიზნების უკან. მანამდე კომპიუტერზე ვინ რას ჩალიჩობდა, ვერ გაიგებდი. ყველაზე ძალიან ერთი გერმანელი მსროლელი დაზარალდა, სონია ფრაიშერი, რომელიც ყველა შეჯიბრებას იგებდა და რეინისნერვებიანს ეძახდნენ. მისმა კომპიუტერმა კი მონიტორზე რვიანი აჩვენა. პროტესტითაც ვერაფერი გააწყეს...“

ნინოს ატლანტაში მხოლოდ მეხუთე (პნევმატური პისტოლეტით) და მეშვიდე (მცირებალიბრიანით) ადგილები ერგო, რაც ძალზე დასანანი იყო, რადგან მთლიანად 1996 წელს, როგორც ყოველთვის, მაღალ დონეზე ასპარეზობდა: მესამე იყო უნგრეთში, ევროპის ჩემპიონატზე და კუბაშიც — მსოფლიო თასის გათამაშებაზე მიუნხენში, მსოფლიოს სუპერთასზე მეორე ადგილი დაიკავა, ატლანტაში კი წინაოლიმპიური კვირეული და მსოფლიო თასი მოიგო პნევმატური იარაღით.

ნინო სალუქვაძე: „ოლიმპიადას ვერც ერთი შეჯიბრება ვერ შეედრება. ეს არის ამაღლვებელი სანახაობა, მწვერვალი, რომელსაც მხოლოდ საკუთარი გარჯითა და წვალებით უნდა მიაღწიო. ცხოვრების ერთ ან ორ ბედნიერ წუთს თუ შეადარებს ადამიანი ოლიმპიადას. ატლანტის მარცხი ყველაზე მწარე იყო. ასეთი წარმოუდგენელი რამ ჩემს ცხოვრებაში არასოდეს მომხდარა. საქმე თითქმის ბოლომდე მქონდა მიყვანილი და ყველაფერი წყალში ჩამეყარა. იმაზე მწყდება გული, რომ საქართველოში გაუსაძლის პირობებში ვემზადებოდი,



**2009 წელს ნინო
სალუქვაძემ მერვედ
მოიპოვა მსოფლიოს
სუბერთასი**

საქმისათვის არაფერი დამიკლია და ბოლოს ყველაფერი მარცხით დამთავრდა “(გაზეთი „მერიდიანი“, 1996). ოლიმპიადის სასროლეთიდან წამოსულ, აცრემლებულ ნინოს გზაში თურმე იასნა სეკარიჩი ამშვიდებდა — ჩემთვისაც ორი მედალი ეგულებოდათ, მაგრამ მეც უმედლოდ დავრჩინი.

სიდწე კი, 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, ნინოს მხოლოდ თავისი შესანიშნავი ზოოპარკით, აკვარიუმით და თაღიანი იდეგით დაამახსოვრდა, იმერეთს რომ მოგაგონებდათ. რაც შეეხება შედეგებს, ნინოს გარშემო მაშინაც დიდი აუთოტაჟი იყო — აბა, შენ იცი, მედლის გარეშე არ ჩამოხვიდე, აბა, ოქრო გვინდა... და ამდენ შეჯიბრებაში გამოცდილმა სპორტსმენმა ნაადრევად დაიჯერა წარმატება, თუმცა თბილისიდან გამგზავრებამდე სხვა განწყობაზე იყო. ძალიან დიდმა მონდომებამ ასე იცის და ნინომ ვერაფერი გააწყო. თანაც, იარაღის პრობლემა პქონდა — ვერც ერთ იარაღზე მისი მოსარგი სახელური ვერ დააყენეს, ნინო პლასტელინით და სხვა ამგვარი საშუალებებით ცდილობდა ამ ხარვეზის აღმოფხვრას.

ოლიმპიადის წინ, სიდწეიშიც მოიგო წინაოლიმპიური კვირეული სპორტულ პისტოლეტში და მსოფლიო რეიტინგშიც ისევ მეორე ადგილი ეკავა. თუმცა, სიდწეის ოლიმპიადაზე წარუმატებლობა შეიძლება კაზოზომიერიც იყო. ერთ-ერთ ინტერვიუში, ოლიმპიადამდე სამი კვირით ადრე, ნინომ განაცხადა: „რას ველი სიდწეის თამაშებიდან? განა ასეთ პირობებში შეიძლება წარმატებაზე ფიქრი? განა ნორმალურია, რომ ახალ იარაღს პირდაპირ დიდ შეჯიბრებებზე ვცდი?... განა მხოლოდ ვარჯიში, თუნდაც სრულფასოვანი ვარჯიში საკმარისია? აუცილებელია შეჯიბრებებში ხშირი მონაწილეობა. სულ სხვაა საასპარეზო სიტუაცია, ასე რომ აკლიათ ჩვენს სპორტსმენებს. ჩემზე მეტად გამარჯვება არავის უნდა. ერთადერთი შემიძლია ის ვთქვა, რომ გამარჯვებისთვის არაფერს დავიშურებ. შევილებიც „შევნირე“ ამ საქმეს. ძალიან მინდა ოჯახში ყოფნა. სა-



ქართველოში მისალები პირობები რომ იყოს, რა მინდა გერმანიაში... დარბაზი კი გვქონდა სპორტის დეპარტამენტის შენობაში, მაგრამ სამი წელია ველით დანადგარებს. როგორ ვავარჯიშოთ სხვა სპორტსმენები? სროლაში 1000 ბავშვი მაინც უნდა გყავდეს, რომ ერთი ნამდვილი ტალანტი აღმოაჩინო...“

თუ სიძნეები ოლიმპიადადამდე ერთი თვით ადრე ჩავიდნენ, ოთხი წლის შემდეგ, ათენში პირველივე ვარჯიშს ოლიმპიური შეჯიბრება მოჰყვა. ნონი ტყვიის სროლაში, ანუ სპორტულ პისტოლეტში მხოლოდ ფინალში გავიდა, პნევმატური იარაღით სროლაში კი გადამწყვეტი სერიის წინ ლიდერი გახლდათ. მაგრამ იქამდე იმდენი ნერვული ენერგია ჰქონდა გახარჯული, რომ მეოთხე სერიის წინ მამას უთხრა: ძალიან გამიჭირდება სროლა, თავს ცუდად ვგრძნობო. ნებისმიერ სპორტსმენს აქვს პირადი თუ საყოფაცხოვრებო პრობლემები. თითქოს გადალახავ მათ, მაგრამ რამდენიმე დღის თუ კვირის შემდეგ, სწორედ შეჯიბრებაზე იგრძნობ ამ პრობლემების სიმძიმეს.

ათენში ნინომ ბოლო სერიაში მისთვის წარმოუდგენლად დაბალი შედეგი — 92 ქულა აჩვენა, ჯამში კი 382 ქულა დაუგროვდა და ფინალში ვერ მოხვდა. მაშინ ფინალში ისე აირია ყველაფერი, რომ უკრაინელი კოსტევიჩი, რომელიც სხვებს საგრძნობლად ჩამორჩებოდა, მერვედან პირველ ადგილზე გადავიდა და გაიმარჯვა. ნინოს მეოთხე სერიაში მისთვის ძალიან უბრალო შედეგი — 95 ქულა რომ ეჩვენებინა, კოსტევიჩი საერთოდ ფინალს მიღმა, მეცხრე რჩებოდა. ათენში სეკარიჩმაც ძალიან ცუდად ისროლა და ნინოს ბედი გაიზიარა.

არადა, თვენახევრის შემდეგ, ბანგკოკში, ნინომ კვლავ მოიგო მსოფლიოს სუპერთასი, თანაც ისე, რომ ათენის ოლიმპიადის მერე არც უვარჯიშია. ოლიმპიადის შედეგების გამო იმდენად იყო შენუხებული, რომ ეს წარმატება არც გახარებია. თან მამა არ ჰყავდა გვერდით და იმსელა ბროლის თასის ბანგკოკიდან წამოლება მარტოს მოუწია.

ოთხი წლის შემდეგ კი, პეკინში, ნინო სალუქვაძე ისევ ავიდა ოლიმპიადის პრიზიორთა საპატიო კვარცხლბეჭზე.

ნინოს, რომელმაც, მისივე ადრინდელი თქმით, ყველა ოცნება აისრულა, მაინც წყდება გული იმის გამო, რომ ამდენმა ოლიმპიადამ ფუჭად ჩაიარა მის-თვის. გარდამავალი პერიოდით გამოწვეულმა დიდმა სიძნელეებმა, სასრო-ლეთების რბევამ და გაპარტახებამ ძალიან სერიოზულად შეაფერხა სროლის განვითარება საქართველოში. გვარდიის მაშინდელი ხელმძღვანელი თენგიზ კიტოვანი, რომელიც იმხანად ტყვიის სროლის ფედერაციის პრეზიდენტიც იყო, მისი ჯარისკაცების მიერ დატაცებულ სპორტულ იარაღს ტროფეიდ თვლიდა (?!). ძალიან ძნელი იყო ვარჯიში დანგრეულ, გაყინულ ტირში. ნინო დარწმუნებულია, რომ უკეთეს პირობებში გაცილებით მეტი ოლიმპიური მე-დალი ექნებოდა.

ბოლო წლებში ერთი შეღავათი ის იყო, რომ ნინო სალუქვაძემ, სპორტის დეპარტამენტის დახმარებით, დეპარტამენტის შენობაში გახსნა თავისი სა-ხელობის ტირი. იგი პატარაა, მხოლოდ პისტოლეტის სროლისთვის გამოდგე-ბა და სულ 10 ბილიკი აქვს, მაგრამ სინათლე მაინც არის და სითბო. თბილის-ში ახლა მხოლოდ ნინოს ტირია და კიდევ არმიელების. ქუთაისში, სადაც ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო მსროლელი ნინო უჩაძე ვარჯიშობს, „დინამოს“ თით-ქმის დანგრეული პატარა ბაზით გადიან იოლას. ღია სასროლეთი არც ტყვიის სროლაში და, რაც უფრო გასაკვირია, არც სასტენდოში — აღარ არსებობს სა-ქართველოში.

დამოუკიდებლობის წლებში, განსაკუთრებით პირველ ხანებში, უსახსრო-ბის გამო ვერც უცხოეთში ხერხდებოდა მომზადება, ერთი ათდღიანი შეერებაც საოცნებოდ ჰქონდათ. ნინო შეჯიბრებებზეც კი ზოგჯერ საკუთარი სახსრებით გამგზავრებულა. იგი, როგორც სპორტსმენი, საქართველოს იტალიური ფირ-მის — „ბინელის“ წყალობით შემორჩა. როცა ნინო „ბინელის“ იარაღით ისრო-და, ეს ფირმა ნინოს ასპარეზობებზე გამოსვლის ხარჯებსაც ისტუმრებდა. ზოგ-ჯერ ძველი ნაცნობობაც შველოდა. ნინო განსაკუთრებული სითბოთი იხსენებს ფრანგების შესანიშნავ მასპინძლობას ტულუზაში 1999 წელს, ევროპის ჩემპიო-ნატის წინ. ნინომ მასპინძლებს თავგამოდება კარგი შედეგით დაუფასა — ბორ-დოში მეორე ადგილი დაიკავა სპორტული პისტოლეტით სროლაში, სულ ერთი ქულით ჩამორჩა ბულგარელ მარია გროზდევას.



* * *

პეკინის ოლიმპიადაზე, როგორც ითქვა, ნინო სალუქვაძე ლამის საგინესო მიღწევის ავტორი გახდა. 2008 წლისთვის ნინოს ახალი იარაღი ჰქონდა, რომელ-საც გამოცდა სჭირდებოდა. შესაბამისად, სროლის ახალი ტექნიკაც უნდა შეერჩიათ. ჯერ კიდევ 2007 წლის შემოდგომაზე, ახალი პრევმატიური იარაღით ძალიან მაღალი შედეგი — ძირითად სერიებში 395 ქულა აჩვენა, იმ წლის ევროპის ჩემპიონატი კი ერთმა გერმანელმა სულ 385-ით მოიგო. ნინოს ოლიმპიურ წელ-საც საკმაოდ კარგი შედეგი ჰქონდა — მეორე ადგილი ევროპის ჩემპიონატზე 388 ქულით. სწორედ მაშინ „გაიგიფა“ თავი ბელორუსმა ჩაიკამ 390 ქულა აიღო და ნინოს გადაასწრო. „ყოველთვის ასეა, — იცინის ნინო, — საკმარისია მაღალი შედეგი მქონდეს, მეტოქები მაშინ გამოცოცხლდებიან ხოლმე.“

პეკინის ოლიმპიადა განსაკუთრებული იყო, შავი ნიშნით დაღდასმული. აგვისტოს ომი სწორედ მაშინ დაიწყო, ოლიმპიური თამაშების გახსნისას. „ეს ჩემთვის შოკი იყო — ომი ჩვენს სამშობლოში, თანაც ოლიმპიადის დროს... ასეთ პერიოდში ადრე ირან-ერაყის ომიც კი შეწყვიტეს დროებით.“

რაც შეეხება ჩვენი გუნდის პეკინიდან შესაძლო გამოწვევასთან დაკავშირებულ ძალზე უსიამოვნო ამბებს, იგი ყველაზე ნაკლებ სწორედ ნინოს შეხეო. საქმე ის არის, რომ როცა 9 აგვისტოს, გვიან ღამით ჩვენი სპორტის მესვეურები ოლიმპიურ სოფელში შეიკრიბნენ და მთელი ქართული დელეგაციის თანდასწრებით თბილისიდან მოსულ „რჩევას“ განიხილავდნენ, ანუ პეკინის დატოვება-არდატოვებაზე მსჯელობდნენ, ნინო სალუქვაძე ერთადერთი იყო, ვინც თავის ნომერში ისვენებდა და ამ გაუგებრობაში მონანილეობა არ მიუღია. 10 აგვისტოს, დილით ადრე ნინო სალუქვაძე ოლიმპიურ სასროლეთზე გაემგზავრა, რათა რუსეთთან ომში ჩაბმული საქართველოსთვის პირველი პეკინური მედალი მოეპოვებინა.

ქალთა ოლიმპიური პროგრამის პირველი დისციპლინა იყო პრევმატური პისტოლეტით 10 მეტრზე სროლა. ნინოს ძირითად სერიებში 386 ქულა და მეოთხე ადგილი ჰქონდა. ნინ იყვნენ რუსი ნატალია პადერინა (391) და ჩინელი ვენძინ გუო (390) და მონგოლი მუნკზულ სოგბადრანი (387). ფინალში ნინო უკვე ძალიან დამშვიდებული ისროდა და ლამის დაეწია პადერინას. 100-ზე მეტი ქულა (101,4) ფინალში მხოლოდ მან და მასპინძელმა ვენძინ გუომ (102,3) გაეტეს. საბოლოოდ ჩინელმა გაიმარჯვა, პადერინამ ვერცხლის მედალი მიიღო, ნინომ

— ბრინჯაოსი. სხვათა შორის, სერბმა იასნა სექარიჩმა მეექვსე შედეგი აჩვენა. იასნა ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ქართველ მეგობარს ოლიმპიური მედალი მიუღოცა.

ნინო სალუქვაძე: „13 აგვისტოს, მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში საქმე თითქოს უკეთესად მიღიოდა. მრგვალ სამიზნეზე 292 ქულა გავაკეთე და ლიდერთა შორის ვიყავი. შესვენების შემდეგ საცდელი სროლა გვქონდა, პირველი ცდა და... ფირზე ნატყვიარი არ ჩანს. პისტოლეტს დავხედე და მაშინვე მივხვდი, რომ სამიზნე გვერდზე იყო გადაწეული. როგორც შევძელი, თავის ადგილზე დავაბრუნე, თუმცა არ შემიმოწმებია, რადგან მეტი საცდელი გასროლა ველარ მოვასწარი — სილუეტზე ხომ სამ წამში ვისვრით. დანწყო შეჯიბრება და პირველივე ტყვია რვიანში მოხვდა. ასეთ დროს ბარგი უნდა ჩაალაგო და სახლში წამოხვიდე. ისე კი მივხვდი, საით უმიზნებდა დაზიანებული იარაღი და მეც ათიანს დაბლა, ვარაუდით ვესროდი. შემდეგ იარაღის სამიზნე კიდევ ერთხელ შევასწორე და კარგი სერიებიც დაიწყო, მაგრამ ის 46 ქულა პირველ სერიაში, ის რვიანები და ცხრიანები, ველარაფრით „ამოვქაჩე“, „არადა, პისტოლეტი მუდამ ჩემთან იყო და მის დაზიანებას სხვას ვერავის დავაბრალებ.“

მეორე ეტაპზე, სწრაფ სროლაში ნინომ 288 ქულა აიღო, ჯამში 580 ქულა დაუგროვდა და 25 მეტრზე სპორტული პისტოლეტით სროლაში საბოლოოდ მე-16 ადგილი დაიკავა.

* * *

მსოფლიო თასის გათამაშება, რომელსაც სუპერთასის ეტაპები ეწოდება, წელიწადში ოთხჯერ ეწყობა. ყოველ ეტაპზე და თითოეულ იარაღში I-II ადგილზე გასული სპორტსმენები და სუპერთასის ნინა ნლის გამარჯვებულები, სპორტული სეზონის ბოლოს გაითამაშებენ ძვირფას ჯილდოს — უზარმაზარ ბროლის თასს. ეტაპებზე გამარჯვების გარდა, სადაც ნარმატებამიღწეულ მსროლელებს ასევე მსოფლიო თასებით აჯილდოვებენ, ნინო სალუქვაძეს, უკვე ვთქვით, 9-ჯერ აქვს მოპოვებული სუპერთასი 19 ნლის განმავლობაში - 1989 ნლიდან 2010 ნლამდე, თანაც ორჯერ, 1989 და 1993 ნლებში დუბლი შეასრულა და საპატიო ჯილდო ორივე დისციპლინაში დაიმსახურა. მეორე-მესამე ადგილებს აღარ ჩამოვთვლით, მეტისმეტად მძიმე შრომაა. არც ცხრა



ნინო სალუქევაძე:
„ტექნიკის დახვეწა, რა
თქმა უნდა, ანბანბდან
იწყება. ახლა ეს აღრ
მჭირდება. მდგრადობის
აღდგენა და ფსიქოლო-
გიური მომზადება - ამ, ეს
არის ჩემი სადლეისო ამო-
ცანა. მდგრადობა უნდა
შენარჩუნო და მოქლო
ძალების სრულ კონცენ-
ტრაციას მიაღწიო.“

სუპერთასის მოპოვების ისტორიას შემოგთავაზებთ — სამაგალითოდ ავი-
ლებ ერთს, 1999 წლის დიდ ფინალს მიუნხენში. საერთოდ, მსოფლიო თასის
გათამაშებას ტრადიციული მასპინძელი ქალაქები ჰყავდა: მიუნხენი, მილანი,
ზული. შემდეგ ეს არეალი გაფართოვდა და სამხრეთ აზიაშიც გადაინაცვლა:
ბანგკოკი, სეული...

მიუნხენში, ასპარეზობის მასპინძლებმა, იმ ცხრა-ცხრა სპორტსმენს, ზე-
მოთ რომ დაგისახელეთ, მეათეებიც დაუმატეს — ნინა წლის მსოფლიო ჩემპი-
ონატში გამარჯვებულები. მოკლედ, ცეცხლის ხაზზე მსოფლიოს ათ-ათი საუ-
კეთესო მსროლელი გამოვიდა. ნინოს იმ წელსაც, ტრადიციულად, სტაბილური
შედეგები ჰქონდა. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: კარგი შედეგით, 588 ქულით
მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი ბორდოში, მეორე ადგილი
დაიკავა სეულში, მიუნხენში მოიკონია სათასო ასპარეზობა, ხოლო მილანში ორივე
იარაღით სროლაში მოიპოვა მსოფლიო თასი.

მიუნხენის ახალი სასროლეთი საგანგებოდ სუპერთასისთვის ააგეს. სუ-
პერთასი სპორტული პისტოლეტით გაიხსნა. ნინო პირველად ისროდა კომპიუ-
ტერულ დანადგარებზე, შეუჩევეველი იყო და ფინალში მხოლოდ მეშვიდე შედე-
გით მოხვდა. მერე ახალ პირობებს შეჩევეულმა, უკვე ძალიან კარგად ისროლა,



რობერტ შავლაყაძე
და ნინო სალუქვაძე
ოლიმპიაში,
პიერ დე კუბერტენის
ობელისკთან



ფონალში იმდენივე ქულა მოაგროვა, რამდენიც გამარჯვებულმა კორეელმა მსროლელმა (01,9), მაგრამ უკვე გვიან იყო — ნინომ მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა. მომდევნო, მეშვიდე ადგილი ერგო ბულგარელ მსოფლიო რეკორდსმენს დიანა იორგოვას.

პნევმატური იარაღით სროლა სწორედ მარიამობის დღეს, 28 აგვისტოს შედგა და იგი მართლაც ბედნიერი გამოდგა ქართველი მსროლელისთვის. ნინო თურმე ლმერთს ევედრებოდა: „ყოველთვის მწყალობელი იყავი ჩემთვის, ახლაც მომმართე ხელი, შენ ხომ ზუსტად იცი, რა შემეტხვა ატლანტაში, სხვაზე არაფერზე მწყდება გული, მხოლოდ ატლანტაზე...“

სუპერფინალს 7 ათასამდე მაცურებელი ესწრებოდა. ნინომ ისევ სუსტად დაიწყო ასპარეზობა და ფინალში მხოლოდ მეოთხე შედეგით გავიდა. რაც მოხდა, მერე მოხდა: ფინალში ჩვენი სპორტსმენი შესანიშნავად ისროდა და შედეგიც შესაფერისი მიიღო — 103,3 ქულას მოუყარა თავი და საბოლოოდ 0,3 ქულით აჯობა ჩინელ ლუნა ტაოს, რომელმაც 486 ქულა აჩვენა. ბრინჯაოს მედალი სვეტლანა სმირნოვას გადასცეს (484,7). ძალზე ემოციური გამოდგა ფინალური აკორდი: ნინო სალუქვაძის სპორტული ჟინით და იშვიათი ნებისყოფით აღირთოვანებულმა პუბლიკამ ხანგრძლივი ტშით დააჯილდოვა სუპერთასის ლირსეული მფლობელი.

ოფიციალური შეჯიბრების შემდეგ, სუპერთასის გათამაშების ორგანიზატორებმა მიუნხენის ახალ სასროლეთზე სახალისო კომიტიული ტურნირი გამართეს: მსოფლიოს 15 საუკეთესო მსროლელი — 6 ქალი და 9 კაცი — ერთმანეთს შეაჯიბრეს, თანაც ოლიმპიური სისტემით — წაგებული ბრძოლას ეთიშებოდა. თოფში, ანუ შაშხანის სროლაში ზოგჯერ ქალები სჯობნიან კაცებს, პისტოლეტში კი უპირატესობა ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ეკუთვნით. მაგრამ ბოლო სერიაში, ანუ ფინალში ცეცხლის ხაზს შემორჩენ: ნინო სალუქვაძე, ჩინელი ლუნა ტაო და მისი თანამემამულე, კაცთა შორის მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი ვანგი. ფინალამდე ნინოს ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონ რობერტო დი დონასთან მოუხდა გაპაექრება და ეს პატივცემული იტალიელი სენიორი, როგორც იტავიან, ტრიბუნაზე გაუშვა. ფინალში ჩინელებმა, თითქოს პირი შეკრესო, 10-10 ქულა აჩვენეს, სალუქვაძემ — 10,3. ამ შედეგით ნინო სათავეში მოექცა ასეთ ინტერნაციონალურ და ემანსიპირებულ გუნდს...

ნინო სალუქვაძის უმთავრესი ჯილდოები — ოლიმპიადის ოქრო და ვერცხლი, ასევე პირად ჩათვლაში მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ოქროს მედალი - 1991 წლამდე აქვს მოპოვებული. დამოუკიდებლობის პერიოდში, მით უფრო, ოსტატობის ზრდისა და გამოცდილების შეძენის შემდეგ, უფრო ნაყოფიერი პერიოდი უნდა დამდგარიყო მისთვის, მაგრამ სადღა იყო სპორტული ტირები ბესიკის ქუჩაზე, თემქაზე, ავლაბარში, დილომში... ნინო სალუქვაძე, მეგი ხუბულაშვილი, ქუთაისელი ნინო უჩაძე, თამილა ასათანი, ბათუმელი დარეჯან დუმბაძე და სხვები, მწვრთნელებთან ერთად, მაინც არ ეპუებოდნენ სიძნელეებს და საყვარელი საქმის მიტოვება ფიქრშიც არ გაუვლიათ. სალუქვაძემ, ხუბულაშვილა და უჩაძემ, რომლებიც ხშირად გენერატორის შუქზე ვარჯიშობდნენ, 1993 წელს ჩეხეთის ბრნოში, ევროპის ჩემპიონატზე გუნდური მეოთხე ადგილი დაიკავეს, თანაც მოძველებული იარაღით. ბოლო წლებამდე ტყვია-წამალიც საბჭოთა წარმოებისა ჰქონდათ — ადრინდელი მარაგით გადიოდნენ ფონს... ბრნოში ქართველების ერთ პისტოლეტის სამიზნე მოძრა, მეორეს — სასხლეტი. ნინომ კი, ვისი იარაღიც დაუზიანებელი გადარჩა, პირად პირველობაში ევროპის ჩემპიონობა იზიდა, მოგვიანებით კი ორივე დისციპლინაში მსოფლიო სუპერთასი მოიგო.

თანაც იმ წლებში შეეძინა ნინოს ორივე შვილი: 1994 წელს პატარა ნინო, სამი წლის შემდეგ — ცოტნე. ნინო 1993 წელს გათხოვდა. მომავალი მეუღლე, მორაგბე გოჩა მაჭავარიანი მეგობრის ქორწილში გაიცნო. გოჩა ადრე წარმატებით თამაშობდა ბოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში, შემდეგ — „შევარდენში“, ბოლოს კი — „ყოჩებში.“ აფხაზეთში ომობდა და რამდენიმეჯერ დაიჭრა კიდეც, ყველაზე მძიმედ — თავის არეში. მეომარი კაცია, მაგრამ მაინც მაგარი გული გინდა — გურული ქალი და თანაც სნაიპერი! თვითონ ნინო იმერლობას უფრო იჩერებს, რადგან გურიაში სოფელი არა აქვს და იმერეთში დაჰყავდათ ზაფხულობით.

ნინო სალუქვაძე: „როცა ვარჯიშიდან მოვდივარ, უკვე სხვა ადამიანი ვხდები. ნინო სალუქვაძე, როგორც სპორტსმენი, ოჯახში მიუღებელია. „ყოფილი“ სპორტსმენი სახლში უკვე დედა, ცოლი, შვილი და მეგობარია. მყავს მეუღლე, რაგბისტი გოჩა მაჭავარიანი და ქალ-ვაჟი, რომელთაც, სამწუხაროდ, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევ. სიყვარულში გამიმართლა. ბედნიერი გარ... მეუღლეს, რაც შეუძლია, მეხმარება, როცა თავი-სუფალია. ისე, მასაც სამსახური აქვს, ოჯახს რჩენა ხომ უნდა...“



* * *

ნინო საღუქვაძეს ძალიან ბეჭრ შეჯიბრებაში აქვს მიღებული მონაწილეობა. მათი სრული აღრიცხვა სტატისტიკისების საქმეა, თვითონ კი ბოლო ტურნირებიდან ყველაზე მეტად 2004 წელს მეშვიდედ მოპოვებული სუპერთასი, 2005 წელს საქართველოს გუნდთან ერთად ტალინში, ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული მეორე ადგილი და და ცხადია, პეკინის ოლიმპიადას ბრინჯაოს მედალი ახსოეს.

ნინოს დედას, ქალბატონ ნუნუს, პირველ რიგში ის ვკითხე, სახელოვანი შვილი კი გყავთ, მაგრამ თუ გაიზარდა ისეთი, დედა რომ ოცნებობს ხოლმე-მეთქი: „რას წარმოვიდგენდი, თუ ასეთ შედეგებს მიაღწევდა, ერთი წლის ვარჯიშის შემდეგ უკვე ჰქონდა დიდი წარმატებები. ხასიათიც შეეცვალა. პატარაობისას, ასე შვიდ წლამდე, წარმოუდგენლად ცელები იყო. მერე დადინჯდა, არაფერზე ადარ ბრაზდებოდა და არც ნერვიულობდა. პასუხისმგებლობის გრძნობა ბავშვობიდანვე ჰქონდა, სროლამ კი უფრო გაუღრმავა. ორკვირიანი შეკრებიდან რომ ჩამოვიდოდა, ვიდრე იმ გაკვეთილებს არ ისნავლიდა, მისმა თანაკლასელებმა რომ გაიარეს, ისე სკოლაში არ წავიდოდა. არც ვნანობ და არც არასოდეს მინანია ნინოს გამო. პირიქით, ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა შვილმა თავის ქვეყანას ამდენი გამარჯვება და სიხარული მოუტანა... თუმცა სპორტის გამო უფრო დამშორდა, სულ მამასთან იყო ხოლმე. ხშირად მენატრებოდა, განსაკუთრებით პირველ დღეებში, როცა ქმარ-შვილს სადმე გავაცილებდი. ლოდინი ჩემი ბედი ყოფილა — ჯერ ვახო იყარებოდა შეკრებზე და შეჯიბრებზე, მერე ნინო ან ორკვე ერთად. მიხვდებით, ჩამოსულებს როგორი სიხარულით ვხვდებოდი, სულ იმ კერძებს ვახვედრებდი, მათ რომ უყვართ.

ჯერ ყველაზე ძალიან ის გამიხარდა, 15 წლისამ მოსწავლეთა საპარტაკიადაზე ოთხი ოქროს მედალი რომ დაიმსახურა. სეულის ოლიმპიადა კი ისე ვეღარ აღვიქვი: ძმა ახალი გარდაცვლილი მყავდა და ნინოს მედლები, თითქოს ჩვეულებრივი ჯილდოები, ისე მივიღე, ხალხს კი სულ სხვა რეაქცია ჰქონდა. პეკინის ოლიმპიადამ კი ძალიან გამახარა, ის მედალი ძალიან სჭირდებოდა საქართველოს, ჩვენთან ომი იყო...

როცა ნინო სეულში გამოდიოდა, მე იმ დროს ძმის საფლავზე ვიყავი. მაშინ დილომში ვცხოვრობდით. მეორე დღეს, შუადღისას ვახოს დამ მომძებნა, თურმე ღამით რადიოში გამოუცხადებიათ ნინოს გამარჯვების ამბავი. ეზოში უამრავი

ხალხი დამხვდა, სახლშიც კი არ შემიშვეს. ტელეფონი კი რეკავდა და რეკავდა, მთელი დღეები კი არა, მთელი კვირეები.

აეროპორტში დაჭვდით. ისევ იგივე ბავშვი იყო, 19 წლისა, სულ არ ავარ-დნია თავში. ამხელა სპორტსმენია და ცხოვრებაში ერთხელაც არ შემიქია, არც საყვედური მომისმენია მისგან. ოჯახში, რა თქმა უნდა, ხშირად ვსაუბრობთ, სროლაში უკვე კარგად ვერკვევი, სხვაგვარად არც შეიძლება. ვსხედვართ და შეჯიბრებებს ვაანალიზებთ, რა და როგორ მოხდა.

მართალი გითხრათ, ძალიან არ მინდოდა, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტში ესნავლა. ისეთი პროფესია მინდოდა აერჩია, სპორტის შემდეგ სხვა საქმის-თვის რომ მოეკიდა ხელი, მაგრამ მამა-შვილმა მაჯობეს. ნინო ახლაც თავისი საქმით არის დაკავებული, თან ისევ გამოდის შეჯიბრებებზე. ჩემი ოცნებაა, სამივე — ვახო, ნინო და პატარა ნინოც, ერთად ვიხილო ოლიმპიადაზე. მათ შედეგებს არ ვჩივი, ესეც დიდი სიხარული იქნება ჩემთვის.“

ნინო უჩაძე: „ნინო სალურებაძე 1982 წელს გავიცანი ექერაში, სულ ბავშვი იყო. არასოდეს გვქონია კონკურენცია ერთმანეთთან, მით უმეტეს ისეთი, რუსეთის გუნდში რომ არის. ამას მსროლელები საგანგებოდ აღვნიშნავდით ხოლმე. ნინო გუნდის ლიდერი იყო, მოვლენა. უაზრობაც იყო მასთან კონკურენცია, თუმცა ერთი-ორჯერ მეც მოვუგე. ნინო რომელილაც შეჯიბრებიდან დაღლილი ჩამოვიდა და ვერ იყო სათანადო ფორმაში, მე კი ჩემი საუკეთესო შედეგი — 589 ქულა ვაჩვენე. პირველმა მან მომილოცა გამარჯვება, ეს საქართველოს ჩემპიონატზე მოხდა. 2005 წელს ნინომ, თამილა ასათიანმა და მე ევროპის ჩემპიონატში გუნდური მეორე ადგილი დავიკავეთ... ორ ოლიმპიადაში, ატლანტასა და სიდნეიში, ნინოს წყალობით მივიღე მონაწილეობა. მან მოიპოვა ოლიმპიური ლიცენზია, რის მიხედვითაც ჩემს ქვეყანას მეორე მსროლელის გამოყვანის უფლება მისცეს. ამ უფლებისთვის კი მე შიდაკონკურენციის დაძლევა მომიხდა, დარეჯან დუმბაძე იყო ჩემი ძირითადი მეტოქე. სიდნეის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ოლიმპიადაზე მხოლოდ ის მსროლელები დაიშვებიან, ვინც თვითონ მოიპოვებს ოლიმპიურ ლიცენზიას.“

ნინოს ძალიან ძლიერია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ევროპის ჩემპიონატზე ერთ ოთახში ვვარჯიშობდით პისტოლეტებით, უტყვიოდ. შემოვიდა ერთი ბულგარელი მეტოქე და უთხრა: აბა, შენ იცი, აუცილებლად უნდა მოიგოო. ალბათ იცით, რას ნიშნავს ასეთი „რჩევა“ მსროლელისთვის. ნინოსაც მაშინვე



სახე შეეცვალა. ორ წუთში შევხედე და... ისევ ძველი გამომეტყველება ჰქონდა, თუმცა, კარგად ვიცი, ნებისყოფის როგორი დაძაბვის ხარჯზე მოახერხა ეს.

ჩვენ არა მარტო პირადად, იჯახებითაც ვმეგობრობთ. მე მისი ბავშვის ნათლია ვარ, ნინოსი. თბილისში უამრავი ნათესავი მყავს, მაგრამ აქ რომ ჩამოვდივარ, პირდაპირ ნინოსთან მივდივარ ხოლმე და ყველა გაბრაზებულია. დღე არ გავა, ერთმანეთს არ შევეხმიანოთ. ჩვენი შვილებიც მეგობრობენ, ბიჭი თორმეტი წლისა მყავს, გოგო ექვსისაა. მეც მწვრთნელი ვარ..."

ნინო სალუქევაძემ ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და სპორტის სპეციალისტი გახდა. სროლის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია და სულ დაკავებულია: შეჯიბრებებისთვის საბუთების მომზადება, სახსრების მონახვა, სამწვრთნელო საქმე და... ვარჯიში. ჩვეულებრივ, სამი დღე ვარჯიშობს სულ ცოტა 3-3 საათით, მეოთხე დღეს კი ისვენებს. შეკრებების დროს დღეში ორჯერადი ვარჯიში უწევს.

ნინოს თქმით, სროლაში ბევრი რამ იცის, მაგრამ მაინც სჭირდება რჩევა: „ყველაზე კარგი ფსიქოლოგი შენივე მწვრთნელია. მამა მეუბნება, აღარ მიჯერებო, მაგრამ მისი რჩევები სწორედ გაჭირვების დროს მშველის ხოლმე. ის ვარჯიშზე მამა არასოდეს ყოფილა — მხოლოდ ვარჯიშის შემდეგ. მწვრთნელობა ძალიან რთული და დამღლელია, ეს მე უკვე გამოვცადე საკუთარ თავზე. რომ ვერ აკეთებენ იმას, რასაც ვასწავლი, მე ვისროლო — ეს მირჩევნია.“

...სპორტის დეპარტამენტის შენობაში მდებარე ტირში სამიზნე დაფას ჯიუტად მისჩერებია ორი ნინო - დედა და შვილი. უმცროსი ნინო ახალგაზრდაა, ცოტა ემოციურია, მაგრამ დედასავით მიზანდასაული. ყველაფერი წინ აქვს. ორი წლით უმცროსი ცოტნე კი, შეიძლება თავის რიგს ელის, რა თქმა უნდა, თუკი მოინდომა სროლაში ვარჯიში.

6069 სალუქვაძე

დაიბადა 1969 წლის 1 თებერვალს თბილისში. ტყვიის მსროლელი. ექვსი ოლიმპიადის მონაწილე. 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და მეორე პრიზიორი, 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი. მსოფლიოს ჩემპიონი პირად პირველობაში (1989) და ექვსგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1986-87, 89-90 — სპორტული + პნევმატური, 91), მეორე (2002) და მესამე (1986) პრიზიორი პირად შეჯიბრებაში. მსოფლიოს სუპერთასის ცხრაგზის მფლობელი (1989-2010). ევროპის ხუთგზის ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში (1989-90, 93), ორგზის მეორე (2005) და ორგზის მესამე (1999, 2003) პრიზიორი. დამყარებული აქვს ოცამდე მსოფლიო რეკორდი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების ორდენისა და ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერი.



NINO SALUKVADZE

Sports shooter, was born February 1, 1969 in Tbilisi and participated in six Olympic Games. Salukvadze is a champion and silver medalist of 1988 Olympic Games in Seoul and bronze medalist of 2008 Olympics in Beijing. Salukvadze is the world champion in the individuals contest (1989) and six-time champion in the team event (1986-1987, 1989-1990 25-meter sporting pistol competition and air pistol competition in 1991), silver (2002) and bronze (1986) medalist in the individuals contest. Salukvadze is nine-time winner of the world super cup (1989-2010), five-time champion of Europe in the individual and team contests (1989-1990, 1993). She twice won silver (2005) and twice bronze (1999, 2003) of European championships. She held about twenty records. Salukvadze was the USSR Honored Master of Sports. She was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd and 3rd classes.